

မြန်မာ့နိုင်ငံတော်
အစိုးရအဖွဲ့



ဒဲးဂဲးဂဲးဂဲးဂဲးဂဲး

7
1951



პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის
ქოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 7 ივლისი 1951

საბლიტერატურული
ფელიწადი XXV


ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



სიმღერა ახალ თბილისზე

გიცქერ და მიკვირს, ნამდვილად შენს მიდამოში რაც ხდება,
დღეს, სადაც სახლი არ იდგა, ხვალ იქ სასახლე დამხვდება,
მხრებგანიერი, მაღალი შენობა ცად აღმართული
და ჩუქურთმები ქართული, უხდება ზედ დახატული.
იფურჩქნები და ყვავილობ, დღითი დღე უფრო მაღლდება,
შენს განახლებას სისხამზე ნალარით ხვდება ქარხნები.
რომ უფრო იყო ლამაზი, რომ უფრო მეტად გეხარა,
ქვისკედლებშემოქედელი მტკვარიც კი წამოგეხმარა.
ხალხის მარჯვენა გაშენებს, ყვავილობ და იფურჩქნები,
გარბიან ქუჩაბანდები, მოდიან ფართო ქუჩები.
მტრის გულს დაისრავს, თბილისო, დიდება შენი მშენებების,
მაღე შენს მკერდზე მხრებს გაშლის ქართული ცათამბჯენები.

მიხეილ სანიკიძე





სიმონ მთვარაკი

მ თ ხ რ ა ბ ა

მხატვარი კ. მახარაძე

ეს ხიფათი თავს დამატყდა საზაფხულო არდადეგების დროს. აი, როგორ მოხდა ეს: ჩვენი მეზობლის ბიჭი, მიშა, შორეულ მინდორში უნდა წასულიყო: კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავალებით, მდინარე იორს გაღმა ტრაქტორზე მომუშავეებისათვის საზოგადოებრივად უნდა წაეღო. ეთხოვე, მეც წამიყვანე-მეაქი. სიხარულით დამთანხმდა, — ორნი ვიქნებოდით, ერთმანეთს გავართობდით.

ჩვენ ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. მართალია, მე თბილისში ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, მიშა კი სოფელში თავის მშობლებთან ცხოვრობდა, მაგრამ არდადეგების დროს ყოველთვის ერთად ვიყავით. დღე ისე როგორ გავიდოდა, რომ ან დილას, ან საღამოს ერთად არ გვეთამაშა და არ გვებაასა ათას რამეზე... აი ასეთ მეგობარს უნდა გავყოლოდი მინდორში.

მეორე დღეს, როგორც კი ინათა, ორთვალაში ცხენები შეეხებოდა. კოფოზე რომ წამოვიჭიმეთ, მიშამ სადავეები მოზიდა, ნწუო, ერთი შესძახა ცხენებს და ეზოდან გავედით...

მწვანედ და ყვითლად მოზიბინე მინდვრებისაკენ გაჭიმულ გზას დავადექით. ცხენები ხალისით მიქროდნენ, რადგან მინდვრების ნოყიერი საძოვრების სიტკბოება ახსოვდათ.

მზე ამოსცდა მთაგრეხილს. ჩვენი სოფლის ხეხილნარებს გავცდით და ძეძვ-ჯაგანარიან ველებზე დავეშვივით. თანდათან უფრო მკაფიოდ მოჩანდა ივრის დაკლაკნილი კალაპოტი და თეთრად მოქათათე რიყე. დაცხა. მალე იორში შევადგდეთ ჩვენი ორთვალა და, რაკი ეს გიყი მდინარე მკათათვის გვალვას ძალზე დაეპატარავენინა, ადვილად

გავტოპეთ. შევეუდექით შეღმა ველებს. მშვენიერი სანახავი იყო ოქროსფერად გაწოლილი ნამჯები გადამკილ ხოდაბუნებზე, საანეულო ხნულლებშუა დარჩენილი მწესუმწირას მინდვრები. ალაგ-ალაგ ისმოდა ტრაქტორებისა და კომბაინების გუგუნი. კომბაინები ნაგვიანევე ყანებს მკიდნენ.

მივალწიეთ დანიშნულ ადგილს. ტრაქტორისტ-კომბაინერებს ბინა გორაკის კალთაზე დაედოთ, ძეძვის ბუჩქების მახლობლად სახელდახელოდ წამოდგმულ ქოხში. ქოხის ირგვლივ ურემიც იდგა, ბარგი-ბარგახანაც ეყარა, ბენზინის ვეებერთელა კასრებიც მოჩანდა.

ქოხში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ბრიგადირი დავგვხვდა.

მიშამ ჩამოტანილი სანოვანე მას ჩააბარა, შემდეგ ცხენები გამოუშვა და აძოვა. ცხენები რომ დაძნენ, ორთვალა ისევე გაემართეთ და უკან გამოვებრუნდით...

დასვენებული და მაძლარი ცხენები მოგვაქროლებდნენ. მზე საშუაღდეოს ვადასცდა და ძალზე დაცხა. ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა ლოყებზე, სუნთქვა ჭირდა. იორსაც მივუახლოვდით.

— მოდი, მიშა, ვიბანაოთ! — ვუთხარი ამხანაგს.

— მერე და ცურვა იცი?

— არა, მდინარეში ჯერ ფეხიც არ დამიბანაა!

— მაშ, არ მინდა ხათაბალა ავიკიდო! წყალმა რომ მოგიტაცოს, შენს მშობლებს რაღა ვუთხრა?

— როგორ უნდა მომიტაცოს, ერთი ციქნა მოდის!

— თხელში ვერც იბანავენ, — დინჯად განმიმართა მიშამ. — ქვა-ლორღი გვერდებს დაგიმტვრევს. თუ ბანაობა გვინდა, ღრმა უნ-

8825

და მოვებნოთ, მაგრამ თუ ცურვა არ იცი, მორევში როგორ შეხვალ?

ცხენებს გადავხედე, — ბუნანკალის ხროვა დახვედრათ დასიცხულვებს.

— მიშა, არც ესენი გეცოდება? — არ ვისვენებდი მე.

მან ცხენებს გადახედა და ჩაფიქრდა...

— საქმე ჭკუით უნდა ვაკეთდეს, — თქვა მან. — დილას ჩვენი რომ ფონზე გამოვიარეთ, ცხენებს წყალი მუხლებამდე ძლივს სწვდებოდათ, იქ ვერ ვიბანავებთ!

გამეხარდა. რაკი მიშა ამას ამბობდა, მაშინ-სადამე, თანახმა იყო გვებანავა.

— როგორ შეიძლება მდინარე ყველგან თხელი იყოს, სადმე დახრამულიც იქნება! — წამოვიძახე სულსწრაფვით.

— ჰოდა... აი, ამ კახეთის შარას რომ დავყევთ, ხილს მივადგებით. მორევი იქით ბევრია.

მიშამ ალვირი მარჯვნივ მოსწია, და კახეთის შარაგზით წავედით. მალე ხილი გავიარეთ და ორთავლა მწვანედ მოხასხასე ნაპირზე გააქროლეთ. მართალია, ზაფხულის გამუდმებულ გვალვას იორი ძალზე დაემრო, მაგრამ ფლატის ძირზე, აქა-იქ, მორევები მაინც დაეტრიალებინა. ასეთი მორევი ხილს ზემოთ სულ ოთხი დავითვალეთ, მათ შორის სამი საჯე იყო საქონლით. მინახირე ბიჭებს ამ დროს აქ ჩამოერეკათ ნახირი.

— აბა, სად გინდა აბანაო ცხენები? — მკითხა მიშამ და ორთავლა შეაჩერა. — რაც კარგი და უხიფათო მორევია, სოფლის ნახირს უჭირავს.

— აგერ, ზემოთ, ფლატის ძირში პატარა და ცარიელი მორევაა. — მიუთითეთ მე.

— ჰოდა... რატომ ნახირი შიგ არ ყრია? ის მორევი სოფელთან უფრო ახლოა, მენახირენი შიგ ჩავიდოდნენ, მაგრამ, ეტყობა, მორევი ძალზე ღრმაა და სამიში... მორიდებიან. — დაეჭვდა მიშა.

— თუ ღრმაა, მით უკეთესი, უფრო კარგად აბანავებთ ცხენებს.

მიშა ერთხანს გაშტერებული დაჰყურებდა წყალს. შემდეგ კენჭი აიღო და მორევში გადაისროლა.

— ძაღვს ღრმაა, — წაიდოღუნა თავისთავის. ახლა მოზრილი ქვა გადაისროლა მორევში.

— არა, სახიფათოა. გერც ჩვენს თავს გავიმეტებ, ვერც ცხენებს. უძირო ჩანს ეს ოხერი.

მაგრამ მე არ დავოჯერე, ხელად გავიხადე შარვალ-ხალათი, თხსაკიმოღები ქვებზე მივყარე და ერთ ცხენს, რომელსაც „უქნარას“ ვეძახდით, ზურგზე მოვახტი. მიშა მორევი ცხენს მოახტა და შევტოპეთ მდინარეში. ცხენები ხალისიანად მიაჰყაპუნებოდნენ. წყლის შხეფები სასიამოვნოდ მელამუნებო-

და შიშველ ფეხებზე. წარამარა „იფ-იფს“ გავიძახოდი და მიშას არ ვასვენებდი — მშვენეირია, აბა, რისა გეშინოდა-მეთქი.

— ცხენს ალვირი მაგრად დაუჭირე, ხელე არ გაუშვა! — მომძახოდა მიშა და უკან მომდევდა, ჭკუას მარიგებდა. მისი ცხენი ნესტოებით „უქნარას“ გავას ეხებოდა. სულ ორიოდე წუთი ვიარეთ თხელ წყალში. მე წინ არც კი ვიყურებოდი, ისევ მიშას ველაპარაკებოდი. უცებ მიშა გაფითრდა და შემომყვირა:


— ფრთხილად!

არ ვიცი, რა მოხდა. ერთბაშად ყელამდე წყალში ჩავვარდი და კინალამ ცხენი ლაჯებიდან გამომეცალა. წინ რომ გავიხედე, მხოლოდ ცხენის თავილა დავინახე. მივხვდი, რომ ძალიან ღრმა წყალში ჩავცვივდით მეც და ჩემი ცხენიც. არ ვიცოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, მხოლოდ ალვირსლა ვებლაუჭებოდი და ცხენს მუცელზე ფეხებს მაგრად ვუჭერდი, რომ არ გამომცლოდა.

მე და ჩემი ცხენი მორევში რომ ჩავცვივდით, მიშას ცხენი შეჩერებულა, უმაღვე პირი უბრუნებია და ნაპირზე გასულა. მიშაც ნაპირზე იდგა კოჭებამდე წყალში და შეშინებული მიცქერდა.

ბევრი ვეცადე, როგორმე ცხენი გამეყოლებინა წყლის მდინარებისათვის, ხან ალვირი აგუჯარ, ხან ქუსლი ამოვცხე, ხან ფაფარი დავაწიწენე, მაგრამ ვერ იქნა და უხასიათო საქონელი ვერ დავიყოლიე.


სწვა, ჩემს მღვთმარეობაში მყოფი, უთუოდ შეშინდებოდა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, შიში არ მიგრძენია. ვხედავდი, რომ მორევის



ქონში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ბრიგადი-რი დაგვხვდა... მიშამ სანოვაგე მას ჩააბარა...

ზედაპირი ძალიან პატარა იყო, წყალი თვალის დახამხამებაში გამათრევდა თხელი ნაპირისაკენ და რაღაა გულგასახეთი-მეთქი! სწორედ იმიტომ, რომ არ შევშინდი, სალი აზროვნების უნარი შემრჩა. რაც კი რამ ზღებოდა ჩემს ირგვლივ, ყველაფერს ნათლად ვხედავდი და ვცდილობდი ისე შემოქმედნა, როგორც გარემოება მიკარნახებდა...

მაგრამ, აი „უქნარას“ წყალი ყურებამდე შემოადგა, კაცს ეგონებოდა, სულ ცოტაც და მთელი ეს მორევი იმის ყურებში იხუფლებსო. ფერი მეცვალა, გაგონილი მქონდა, რომ ღრმა მდინარეში ჩავარდნილ ცხენს ყურში ორიოდ წვეთი წყალიც რომ ჩაუვდიეს, უთუოდ დაიხრჩობაო. ამ გარემოებამ ძლიერ დამაფიქრა და საგონებელში ჩამაგდო. ვიფიქრე: ცხენს მე ვამძიმებ, თორემ წყალი როგორ შესწვდებოდა ყურებამდე-მეთქი. ალვირი მივაგდე, ფაფარში მარცხენა ხელი დავტაცე და მორევში გადავეშვი. წყალზე გავწექი, მარჯვენა ხელი ძალუმად მოვუსვი და ფეხები ავაჭყაპუნე. როდესაც „უქნარამ“ ეს დაინახა, ისიც დაიძრა ადგილიდან... მორევში წყალი წრიულად ტრიალებდა, ჩაენც აგვიყოლია ამ წრემ და მცირე ხნის შემდეგ ისევ იმ ადგილას მიგვიყვანა, საიდანაც დავიძარით. ცხენი ისევ გაჯიქდა, ზემოთ ცდილობდა ასვლას, მაგრამ ღრმა მორევის კლდოვანი კედელი წინ ნაბიჯს არ ადგმევინებდა... რომ შემხტარაიყო, არც ეს შეიძლებოდა, რადგან წყლის მდინარება უკან სწვდა... მომაგონდა ფიზიკის კანონი წყალში ჩავარდნილი ყოველგვარი საგნის გამსუბუქების შესახებ და „უქნარას“ ისევ ზორგზე მოახტო. ფათარში ვტაცე ხელი, ნესტოებში მუშტი ამოცეხე და, როგორც იყო, ადგილს მოაწყვიტე. მორევმა კვლავ წრე გაგაკეთებინა და ისევ იმ ადგილას მიგვიყარა.



არ ვიცი რა მოხდა. ერთბაშად ყელამდე წყალში ჩავვარდი...

ახლაც არ დამიკარგავს მოფიქრების უნარი. კარგად ვგრძნობდი, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ელოდა, თუ რაიმეს არ ვიღონებდი.

ჯერ ბიონერულ ორგანიზაციაში, შემდეგ კი, ავტო უკვე ერთი წელიწადი გადიოდა, რაც კომკავშირში სულ იმას მასწავლიდნენ, რომ ხიფათს დინჯად შევხვედროდი, დაბრკოლება წარბმეუბრელად გამემლახა, მოსაზრების უნარი ყოველგვარ მდგომარეობაში შეიმენარჩუნებინა. ამ სიბრძნით შთაგონებულმა ახლა ჩემს თავს ასეთი კითხვა დავუესვი: რით გადაარჩები ამ წუთში? მხოლოდ იმით, თუ წყალს არ ჩავყლაპავ. გადავწყვიტე: უჭაერთოდ დავიხრჩო, მხოლოდ წყლით კი არა-მეთქი. ტუჩები მაგრად მოვკუმე, კბილებს ისე ვაჭერდი ერთმანეთს, რომ ყბების ძვლები მტკიოდა. ერთ ადგილზე გიჟავ გაქვავებულნი... და უცებ წყალმა ამომავტივტივა. რაც ძალა და ღონე მქონდა, ხელფეხი ავამოქმედე, მაგრამ დიდხანს ვერ შევძილ: საშინელი დაღლა ვიგრძენი, თან სული მესუთებოდა და ოასასეინებლად მივეშვი. წყალმა ისევ თსკერისაკენ წამიღო. „ვიღუპები!“ — გამიელვა თავში. სწორედ ამ დროს მარცხენა ფეხის ცერი ქვას მოვარტყი. უზომო სიხარულმა ფრთა შემასხა, გავიმართე წელში და მარჯვენა ფეხი წინ წავადგი. წამსვე ვიგრძენ, რომ სიბი ქვების გროვას წავაწყდი. წამოვიფიქე, წყალი გვერდამდე მცემდა. ახლა მარცხენა ფეხი ვინაცვლე წინ... და მალე მუხლებამდე წმინდა წყალში ვიდექი. ხელისგულები ქოჩორზე ჩამოვისვი,

გონდაკარგულ მიშას ჩემთვის შეგლა არ შეეძლო. სხვა მხსნელიც არავინ ჩანდა, ჩემი თავისთვის მე თვითონ უნდა მეშველნა. არც კი დამცალდა კარგად შემეგრნო, თუ როგორ მემოქმედნა. რომ უცებ ცხენი თითქოს შეხტა. წყალს ზემოთ წინა ფეხების მუხლები გამოუჩნდა, მაგრამ აქ ან კლდე იახვდა. ან წყლის მდინარებამ სძლია, ყალოყზე შემდგარი ჩემიკინ შემოტრიალდა, გაშლილი წინა ფეხებით ზედ გადამებოტა, მკერდი ძალუმად მკრა და მორევში ჩამკარგა...


წყალი ჩამოვიწრიტე და ზედიზედ ხარბად ჩავესუნთქე ჰაერი... როგორც კი ოდნავ გონი მოვიყრიბე, მიმოვიხედე და ყველაფერი მეუცნაურა: მორევის ნაპირი მეხბორემენახირე და მინდვრებში მომუშავე ხალხით ავსილიყო. ერთს, ყველაზე გაბედულ ვაჟკაცს, შარვალ-ხალათი გაეძრო, ცალი ქალამანი გაეხადა და მეორის თასმებს ისხნიდა.

რა მოხდა, საიდან გაჩნდა ამდენი ხალხი? ამაზე შემდეგ მიაბზო მიშამ. მე რომ ცხენმა მორევში ჩამკარგა, შიშით თავზარდაცემულ მიშას, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღრიალი აეტეხა: — მიშველეთ, ისრჩობა, მიშველეთო.

ვისაც კი ეს ხმა მისწვდომოდა, მუშაობისათვის თავი მიენებებინა და აქეთ გამოქცეულიყო.

რამდენიმე ახალგაზრდა წყალში შემოვარდა და ხელში აყვანილი ნაპირზე გამოყვანეს... რაკი საფრთხეს თავი დაჯალწიე და გული დავიმშვიდე, მოვწყდი და მწვანე ბალახზე მივეშვი.

...მას შემდეგ კარგა დრო გავიდა. როცა ეს ხიფათი მომაგონდება, ყოველთვის ვეკი-



წამოვიწიე, წყალი გვერდამდე მცემდა.

თხები ჩემს თავს: — რამ გადამარჩინა? მხოლოდ იმან, რომ ფიქრის უნარი არ დამიკარგავს და შიშს ვძლიე. დიდი გამოცდილება შემძინა ამ ხიფათმა. ახლა თქვენც გირჩევთ, როგორ ხიფათშიც არ უნდა მოყვეთ, როგორი განსაცდელიც არ უნდა დაგატყდეთ თავს, არ შეკრთეთ, არ შეშინდეთ, გული გაიმაგრეთ, მკლავი გაიმამაცურეთ, გონება შეინარჩუნეთ და ხიფათიც ნაკლებად მოგერევათ.



ნ ა ნ ი ს მ ე გ ო ბ რ ო ბ ა



უთოსანი არის ნანი, აქვს ყოველთვის გული წმინდა.

ნანიც თვითონ ასე ფიქრობს: „მე ყველასთვის კარგი მინდა“.

მოსწავლეთა წარჩინება სიხარულით გულს უძგერებს, ველარ იტანს შურიანებს, ველარ იტანს გაიძვერებს.

შველა ჩამორჩენილთათვის მიაჩნია წმინდა ვალად, მით სწავლაში ემატება მხნეობა და მეტი ძალა.

იცის ბავშვის სიამამაცე წარჩინებით სწავლა არი. ნანი ცდილობს ყავდეს ირგვლივ ბევრი კარგი მეგობარი.

კალე ბობონიძე



ბორის ძნელაძე




ნიკოლოზ ზინოროვი

მე მას წინათაც შევხვედრივარ, ასე მგონია, —
ან რიონჰესში, ან ტყიბულის მაღაროს კართან,
სიცოცხლით სავსეს, ახალგაზრდას და ძალგულოვანს,
რომელსაც ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა.

ან იქნებ თვალი შემივლია მისთვის ყანაში,
კოლმეურნეთა ფართობებში ალაზნის ველად,
ან იქნებ ახლა გაირბინა მან ჩემს წინაშე,
კომკავშირელთა მარულაში გაუსწრო ყველას.

იქნებ სვანეთის მაღალ მთებში ერთად ვიარეთ,
დავიბანაკეთ ჩვენ კარვებში ოდესმე ერთად;
ან იქნებ წითელ მოედანზე, როგორც სტუმარი,
ახალგაზრდობის პარადს იგი ლხენით უცქერდა.

იქნებ ქარბუქში დავინახე ზამთარში ფრონტზე,
თეთრ კაპიშონით ჩამობურვილს მოვკარი თვალი,
სადმე სანგრებში ის შაშხანით თუ იწვა თოვლზე,
კვამლად ეხვია გარს დამწვარი თოფისწამალი.



არ ვიცი, არა, მაგრამ მე მას ყოველდღე ვხვდები,
ვაქვაცურ მზერას, ფართო ბეჭებს მე ვხედავ ხშირად,
სალამობით ბინისაყენ როცა ვბრუნდები
ან დავსეირნობ ჩემთვის მარტოდ სადმე მტკვრის პირად.

მაგრამ არც ერთი არ ყოფილა, რაც აქ გითხარით,
ვერ დაინახავს ვერსად სხვაგან მას ახლა კაცი, —
იგი დიდ ბაღში, მარმარილოს კვარცხლბეკზე მდგარი,
მოდულუნე მტკვარს გადასცქერის მხნე და მამაცი.

ბორის ძნელაძე... პირველთ შორის იყო პირველი,
კომკავშირელი, საქართველოს შვილი ერთგული,
ნათელ მომავალს მან შესწირა ძალ-ღონე მთელი,
მას ჰქონდა ლომის შემართება და ბავშვის სული.

ქალაქს, რომელსაც ახსოვს მისი ღვაწლი გმირული,
გაპყურებს იგი, — ვაქვაცური შვენიის იერი.
ალბათ იმიტომ მეჩვენება მსგავსება სრული,
როდესაც მაღბაზ კომკავშირლებს მე დღეს ვუცქერი.



თარგმანი ზინოლოვ ცეცხლაძისა

ზაფხული ქვიშხათში



როცა ფერდობებზე ლაღად გამოიღო სოფელ ქვიშხეთის ბაღ-ვენახებში გაზაფხული შემოდის, ასწლოვან მუხებს შორის განლაგებულ პიონერთა დასასვენებელ სასლებს ღურგლები და მღებავები ევლებიან თავს—აკეთებენ, ალამაზებენ და ამშვენებენ მათ. კალატოხები აშენებენ ღუმელებს სამზარეულოში, დამლაგებლები ასუფთავებენ საძინებელ ოთახებს, დიასახლისები აწყობენ ახლად შეძენილ ჭურჭლებს სასადილოში, ითვლიან საწოლებს, საწყობებს აესებენ თეთრეულით, სურსათით; პიონერხელმძღვანელები აფორმებენ ბავშვთა გასართობ ოთახს, ახალ წიგნებს აწყობენ ბიბლიოთეკის თაროებზე.

ლამაზია ქვიშხეთი გაზაფხულზე, როცა ტყე ფოთოლს ისხამს და ცამიც მერცხლები დაქრიან, ტყემლები, ბლები ყვავის და მინდორში ბალახი მწვანდება... მაგრამ უფრო მშვენიერი და საინტერესო სანახავია იგი ზაფხულში, როდესაც ალისფერი ყელსახვევებითა გულმკერდდამშვენებული ლოყაწითელი გოგონები და ბიჭუნები ვარდ-ყვავილებივით მოეფინებიან აქაურ ველებს.

... პატარა, კოხტა სადგურის წინ ჩერდება მატარებელი; სოფლის მოედანზე მოდიან მწვანე ავტობუსები, ახალთახალი „პობედები“, ნაირფერი „მოსკვიჩები“. ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მხრიდან მოაქროლებენ ისინი აქეთ ბავშვებს, რომელთაც სურთ ძალ-ღონე მოიკრიბონ, ახალი ხალისი შეიძინონ სწავლისა და შრომისათვის.

ბანაკებში გამოცოცხლება იწყება. ფიცარული, სანატორიული სასლების ფასადებზე დაინახავთ ტრანსპარანტებს ლოხუნგებით; ეზოებში ჩნდება წითელქსოვილგადაფარებული მაგიდები. პედაგოგიურ ასპარეზზე თავდადებული მუშაობით სახელმძღვანელო მასწავლებლები მხიარულად ეგებებიან ბა-

ნაკში ახალმოსულ ბავშვებს, ადგენენ სიას. პიონერხელმძღვანელები მიაცილებენ სტუმრებს მათთვის განკუთვნილი ბინებისაკენ. აღმართულია ანძები დროშებისათვის.

ასეა ივნისში, როცა ეს-ეს არის მკვირდება ცხოვრება ქვიშხეთის პიონერულ ბანაკებში. წარუშლელი შთაბეჭდილებები დასტოვა თვითველ ბავშვზე დასვენებისა და გართობის ამ პირველმა დღეებმა. ჩატარდა რაზმეულისა და რაზმების შეკრებები, ბანაკების უფროსებმა ქსენია გეგელიამ, ავთანდილ ტაბიძემ, ვახტანგ ბაბუციძემ მართეს სიტყვიერ ნორჩ დამსვენებლებს. როგორ დავისვენოთ და რა ვაკეთოთ ბანაკში? ამ ყველასათვის საინტერესო საკითხზე ჩატარეს საუბრები პედაგოგებმა. თავიანთი წინადადებანი წამოაყენეს პიონერებმა ლუარსაბ გუნიავამ, ზურაბ კალანდამ, გაიოზ ნიკურაძემ, რომელთაც პირველად როლი უხდებათ ქვიშხეთში ყოფნა.

უკვე ამ პირველი საქმიანი გასაუბრების შემდეგ ყველაფერი კარგად წარიმართა, მთელი მუშაობა, რომ იტყვიან, საათივით აეწყო. ლ. ბერიას სახელობის პიონერბანაკში მომღერალთა გუნდმა დაიწყო მუშაობა. პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკში ნორჩ მოჭადრაკეთა წრეები ჩამოყალიბდა. მტკვრის ხეობის მომხიბვლელი პეიზაჟების გადასაღებად აპარატები მოიმარჯვეს ფოტომოყვარულებმა: ჭიათურელმა ნოდარ ვაშაძემ, კასპელმა ლევან სამხარაძემ, თბილისელმა გივი ბახტაძემ. ხელოვნების მუშაკთა ბავშვებისათვის გახსნილ პიონერბანაკში ნატურალისტებმა მრავალი ექსპონატით აავსეს ცოცხალი კუთხე. კედლის გაზეთებისათვის საინტერესო წერილები დაწერეს სიღნაღელმა გურამ თანდაშვილმა და ხაშურელმა ბორის ნახუცრიშვილმა.

ისტორიის მასწავლებელმა ექსკურსიაზე წაიყვანა ბავშვები.

— აი, ეს ადგილები, — თქვა მან და მის წინაშე ხელისგულივით გადაშლილი სოფ. ტაშისკარის ველები აჩვენა პიონერებს, — ძველ დროში მტრებთან ჩვენი სახელოვანი წინაპრების ბრძოლის ასპარეზი ყოფილა. 1609 წელს აქ შერკინებთან გადამთიელ დამპყრობლებს ქართველი მეომრები გიორგი სააკაძის სარდლობით და მტერი გაუნადგურებიათ...

ამ საინტერესო საუბრის შემდეგ ნორჩები ტაშისკარის გზებსა და ბილიკებს შეესივნენ, მთელი სოფელი შემოიარეს, აბიბინებულ პურის ნათესებს გახედეს, ვენახებშიც, ბაღებშიც გაიარეს, ადგილობრივ კოლმეურნეებს ესტუმრნენ და დარწმუნდნენ, რომ ბუნებით მდიდარი ქვიშხეთის მიდამოები მარტო თავისი წარსულით როდი ყოფილა საინტერესო. სოფელ ტაშისკარის ველები ახლა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სასპარეზოდ ქცეულა; ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში აქ გამართა მოუპოვებია მევენახე ვ. ხაჩიძეს, ორდენები და მედლები მიუღია ბევრ მის თანასოფელს.

ნაშუაღღეს უბრუნდებიან ბანაკს ნორჩი მოგზაურები ახლომახლო სოფლებიდან, მთებიდან, სადაც მათ საინტერესო ექსკურსია მოაწყეს, სადაც დაისვენეს, ფრინველთა გალობა მოისმინეს, კოლექციები შეადგინეს.

ლხენით ჟღერენ პიონერული საყვირები. კიდით კიდემდე გაისმის მათი მომწოდებ-

ლი ხმა. ფეხზე დგებიან ბავშვთა სანატორიუმის ბინადარნი. ნოყიერი და გამარჯვებული სადილი ელოდება მათ. მერე დასვენების საათია. შემდეგ კი პიონერთა ოთახში ყოფნას რა სჯობია: იწერება კედლის გაზეთები, მზადდება ფოტოალბომები, წითელ ქსოვილსა და ქაღალდებზე დაწერილი პლაკატები, ლოზუნგებით, ფერწერის ნორჩი ოსტატების მიერ დახატული სურათებით მშვენივლია კედლები. მიმდინარეობს ტურნირი ჭადრაკში, შეჯიბრება შაშში; იწერება დღიურები რაზმეულისა და რაზმების რვეულებში. საღამოს აჩვენებენ საინტერესო კინოსურათს.


და რაც დრო მიდის, მით უფრო საინტერესო, წარმტაცი ხდება ცხოვრება ქვიშხეთში, სადაც ბავშვების ჯანმრთელობისა და დასვენების საქმეს ემსახურებიან დაწყებითი და საშუალო სკოლის, პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა, ხელოვნების, ადგილობრივი მრეწველობის, ქარხანა „ცენტროლიტის“ მუშაკთა 1.400 ბავშვისათვის გახსნილი პიონერბანაკები. აქ მოდიან მსახიობები თბილისის თეატრებიდან, ეწყობა შეხვედრა მწერლებთან, პოეტებთან, რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან.

მხიარულად, შინაარსიანად ატარებენ ზაფხულს ბავშვები სილამაზით განთქმულ ქვიშხეთის მთის კალთებზე.

დ. იოვავილი

მხატვარი გ. როინიშვილი





მიმდინარე წლის მაისში შესრულდა სსრ კავშირის დიდი თეატრის 175 წლის-
თავი. მოსკოვის სახელოვანი თეატრის ეს საიუბილეო თარიღი საბჭოთა საზო-
გადოებრივობამ ფართოდ აღნიშნა.

მელების იქით ჩანან ველები
და მთების იქით ისევ მთებია,
მოსკოვს, მოსირძულს ცისარტყელებით,
ასი მზის შუქი დაჰნათებია.

თვალში არ უკრთის ნასახი ბინდის,
ბრწყინავს ლენინის მაღალ აზრით,
გულში კი უზის თეატრი დიდი,
ხალხის აზრით და გრძნობით გაზრდილი.

მართლაც დიდია! რა შეედრება,
არ ეპოვება ტოლი არსაით,
ელავენ მისი თეთრი კედლები
პუშკინის უკვდავ წიგნის ყდასავით.

სიმართლისა და სინდისის სახლი!
გული სურვილით მასთან დაება,

მრავალ საყვარელ მომღერლის სახით
სცენაზე დადის თვით უკვდავება.

თვით უკვდავება სცენაზე დადის
და უნდა გმირის ძალით აივსო,
აქ მოსმენილი სიმღერის მაღლი
რომ თან ატარო სამარადისოდ.

ახლოსაც, შორსაც უსმენს რამდენი,
მსოფლიო არის ხმების დამტევი,
როცა სცენაზე ცვივა ვარდები,
როცა ქუხილში დგება პარტერი.

თეატრი, როცა გუგუნებს ტაში,
სმენას მიაპყრობს ტაშის ხმას ნატვრით,
ვეება მხარ-ბეჭს კაცივით გაშლის,
ბელადის ტაშს რომ იცნობს თეატრი.

ვახაგანე გოგოლაშვილი



თქონი მთები



როსტომ ელანიძე

მათვარი ა. ბანძელაძე

მთხრობა

პროფესორთან

უნდერსიტეტში გეოლოგიის პროფესორი მეხუთე კურსს კავკასიონის მთაგრებილის წარმოშობისა და აგებულების შესახებ ლექციას უკითხავდა. მის წინ მაგიდაზე მთის ქანების გროვა იდგა; დროდადრო იღებდა ხან ერთს, ხან მეორეს, დაწვრილებით ახასიათებდა; ისე ლაპარაკობდა, გეგონებოდათ კავკასიონის მთები ხელისგულზე წვიგნივით აქვს გადაშლილი, იმის ქანებს ფურცლავს და კითხულობსო. მის ღრმა ცოდნას და მწყობრ საუბარს ისე გაეტაცნა სტუდენტების ყურადღება, რომ ყველას თავი დავიწყებოდა. განსაკუთრებით ნამწყემსარი იყო ოცნებად ქცეული, პროფესორის ყოველ სიტყვას კვალდაკვალ მიჰყვებოდა. კავკასიონის მთები თითქოს იმასაც საკვირველი წვიგნივით ჰქონდა გადაშლილი და შიგ ფურცლებად ქანები იყო ჩაწყობილი. ქანები: მუქი, ნაცრისფერი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი და სხვადასხვა ფერით აჭრელებული; მათ შორის ლაპოტის მარმარილოს ქანიც ეღვარებდა, უძიროდ, უნაპიროდ გაშლილი, მთის მწვანე ყდებში უჩინრად ჩაკეცილი, დედამიწის ზედაპირზე მისი მხოლოდ წერტილის ოდენა ნაპირი იყურებოდა და რძისფერ სხივებად იღვრებოდა. მთელ ქვეყანაზე იმას მხოლოდ თენგა ბიჭი და ლეგო პაპა ხედავდნენ, და სწყინდა ნამწყემსარს, რომ უბრალო, უსარგებლო ჩანებზე, ქვალოდებზე იმდენი სქელტანიანი წიგნი იყო დაწერილი და ლაპოტის მარმარილოზე კი ერთი პუკარიც არსად იყო ჩავარდნილი, მეცნიერებმა იმის შესახებ დღემდე თითქმის არაფერი იცოდნენ.

პროფესორი იმავე ლექციაზე მდინარე ლაპოტის სათავეებსაც შეეხო. რუკაზე სა-

ყორნის, ქოხტისა და ანდარაზნის მთები შემოხაზა, ნახაზებზე ქანების განლაგებისა და თვისებების გარჩევას შეუდგა.

თენგა ბიჭს ნაცნობი ათვილების გახსენებაზე გული აუძგერდა, წუთით მოგონებებს გაჰყვა, განვლილი ათი წლის უკან გადაიხედა, პროფესორის მიერ ჩამოთვლილი მთები ოცნებით კიდევ შემოიარბინა. თვალწინ წარმოუდგა ცხვრის ბინა, მწყემსები, ქალაქში წასვლისას მათთან დამშვიდობება, წოპის გორაზე თეთრი ღრუბლის ქულებივით შეფენილი ცხვრის ფარა და მარმარილოს კლდეზე შემდგარი ლეგო პაპა... მოეჩვენა, თითქოს მისმა ხმამ ყურში ჩასჩურჩულა: ვინც ამ კლდეებს მთის მწვანე კალთებს გადახდის, დაშლის, ბარად ჩამოიტანს, იგი ქონებს ამის სასახლეებად აქცევსო...

სწორედ იმ წუთში, როცა ნამწყემსარი მოგონებებს გამოეროდა, პროფესორმა რუკაზე, შავი ზღვიდან დაწყებული, მთელი საქართველო შემოხაზა და დასძინა: — საქართველო ორ ზღვას შუა ჩაკრული ბაღნარია, ნატვრის ბაღნარი, რა სიმდიდრე გინდათ, რომ აქ არ იყოს; მარტო კავკასიონის მთებში რამდენი რამეა სასარგებლო, მაგრამ ბევრი რამ დღემდე უცნობი და გამოუყენებელია...

ლექციის დამთავრების შემდეგ ნამწყემსარი საპროფესოროში შევიდა, მარმარილოს ნატეხი პროფესორს მორიდებით გაუწოდა და უთხრა:

— პატივცემულო პროფესორო, თქვენ რომ ლაპოტის სათავეს მთის ქანები გადაგვიშალეთ, ამ მარმარილოს ქანებიც მათ შორის არის ჩართული. აი ეს, — მან მარმარილოს ნატეხი გაუწოდა, — ერთმა მოხუცმა ათი წელი ატარა. პირველად მან იპოვნა ნადირობის ღროს, უნდოდა იმ ძვირფასი მთის

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 6.




ქანებს გამოყენება ჰქონებოდა, მიწური ქონებები მის სახლებად ექცია, მაგრამ ძველ დროში ყურადღება არავინ მიაქცია, სიბერის უამს მე გადმომცა და მთხოვა, თუ ოდესმე საშუალება მომეცემოდა, მეზრუნა ამ კლდეებზე და მისი ნატვრა ამესრულებინა. ეს ნატვხი თორმეტი წელია ჩემთან ინახება; დღემდე არაფერი მითქვამს ამის შესახებ, რადგან მინდოდა ჯერ თვითონ გამეგოდე დედამიწისა და მისი ქანების აგებულების საიდუმლოება. ერთი წლის წინ განგებ ვესტუმრე ლოპოტის მთებს, ერთხელ კიდე გადავსინჯე ის არემარე, მარმარილოს კლდე და ახლა კი გულშა აღარ მომიტმინა...

პროფესორმა აღტაცებით გამოართვა მას მარმარილოს ნატვხი, ხელში შეატრიალა და უსაყვედურა: — რატომ დღემდე არაფერი თქვიო. ნატვხი გულდასმით გასინჯა, თანაც რუკა მოიშველია, მდინარე ლოპოტის ხეობას საჩვენებელი თითი ააყოლა, მარმარილოს ადგილსამყოფელი წითელი ფანქრით შემოხაზა და გახარებულმა წამოიძახა:

— მორჩა, კავკასიონის საკვირველ წიგნში ერთი უცნობი ფურცელი კიდე გადაიშლება.

თენგა ბიჭს მადლობა გადაუხადა და სთხოვა დღესვე საღამოთი ჩემთან შემოიარეო...



პროფესორმა აღტაცებით გამოართვა მას მარმარილოს ნატვხი.

ივლისის მიწურულში, შუადღისას, ასრულდა ლაფანყურში ორი საბარგო და ორსამაგზაო მანქანა შეგრიალდა; საბჭოს ეზოში შეუხვიეს და გაჩერდნენ. მანქანებიდან თხუთმეტიოდე კარგად ჩაცმული კაცი გადმოვიდა; მათ დანახვაზე იმ წუთში ხალხმა მოიყარა თავი. მნახველები თანდათან ემატებოდნენ, განსაკუთრებით ცნობისმოყვარე ბავშვები მოგროვდნენ.

ჩამოსულებმა ლეგო პაპა იკითხეს და იქ მყოფთ სთხოვეს, რომ მოეყვანათ.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ჭალარით მოსილი, წელში მოხრილი მოხუცი, ჯოხის ბჯენით დინჯად მოაბიჯებდა და თანაც ფიქრობდა: ვინ უნდა იყვნენ, ან ჩემთან რა უნდათო?

როცა სტუმრებს მიუახლოვდა, ხალხმა მათთან მისასვლელი გზა დაუთმო. მოხუცი შორიახლო გაჩერდა და მდაბლად თავი დაუკრა უცნობებს.

ცოტა სიჩუმის შემდეგ ერთი სტუმართაგანნი — ლურჯ კოსტუმში გამოწყობილი, ფართომხარბეჭიანი, წარმოსადეგი ვაჟკაცი — მივიდა ლეგო პაპასთან, მხარზე ხელი დაადო, გაღიმებული დააცქერდა და უთხრა:

— ველარ მიცანი ბერიკაცო?! თენგა ბიჭი ვარ, ლეგო პაპავ, თენგა ბიჭი!.. — და მეორე ხელიც ღონივრად ჩასჭიდა. მოხუცი სიხარულისაგან აკანკალდა, ფერმკრთალი ხელები იმანაც ჩაავლო და ერთიმეორეს გადაეხვივნენ; თენგა ბიჭი მკერდზე ჩამოფენილ ჭალარაზე რამდენჯერმე ეამბორა, თანამგზავრებთან მიიყვანა და უთხრა:

— აი, ეს არის ჩემი ლეგო პაპა, ხშირად რომ გაამბობდით ხოლმე, ლოპოტის მარმარილოს პირველი აღმომჩენი და ჩემი პირველი მასწავლებელი.

— მოვხუციდი, შვილო, თვალი აღარ მიჭრის, ველარ გიცანი, გონებაში შენი მწყემსობისდროინდელი იერი მქონდა ჩარჩენილი. ახლა კი სულ გამოცვლილხარ; შენი ბრალია, ერთხელ აღარ დამენახვე! — უსაყვედურა ბერიკაცმა.

— არაფერია, ლეგო პაპავ, სამაგიეროდ ახლა უფრო გავახარებთ—შენთან შეფიცულის შესასრულებლად მოვედი. აი, ეს

მასწავლებელია, პროფესორი, მთელი დედამიწის წიაღი ზუთი თითივით იცის; ესენი ჩემი ამხანაგები არიან — სამთო ინჟინრები. ლობოტის სათავეებს უნდა შეეუტიოთ, შენი ნაპოვნი მარმარილოს კლდეები ქვესკნელიდან მზეზე ამოვალავთ.

— ჰაი დედასა! მუხლი აღარ მომდევს, თორემ მეც თქვენთან წამოვიდოდი! — წამოიძახა გახარებულმა ლეგო პაპამ.

სოფელში ახლა დიდი და პატარა ჩამოსულ მკვლევრებზე და მარმარილოზე ლაპარაკობდა; ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ სტუმრებს, პროფესორზე და თენგა ბიჭზე ერთიმეორეს ჩუმად ანიშებდნენ.

მეორე დღეს თხუთმეტი ცხენისაგან შემდგარი ქარავანი მდინარე ლობოტის ნაპირებს შეუდგა აღმა.

მიჰყვებოდნენ უღრან ხეობაში ვეება ლოდებს შორის დაკლანკილ ბილიკს, თეთრად აქაფებული მდინარე ლოდებზე ზათქით და თქრიალით მოუხუღდა. უჩვეულოდ ხმაურობდა ლამაზი ხეობა.

მარმარილოს საბადოებამდე საღამოთი ადწიეს, დასაბინავებელი ადგილები აირჩიეს და კარვები გაშალეს. მახლობელი ქანები დაათვალიერეს, კმაყოფილები დარჩნენ.

მუშაობა მეორე დილით ადრე დაიწყო. გამართეს საველე ლაბორატორია, განსაზღვრეს მადნის სასინჯი უბნები. ერთად ამოქმედდნენ ღონიერი მარჯვენა, ბასრი ფოლადი, მეცნიერის თვალი. მარმარილოს თეთრი კლდეები მზეზე თვალის მომჭრელად ელვარებდა.

მოიტანეს პირველი ლოდები შესამოწმებლად. აამოქმედეს ქიმიური ხსნარები, მჭრელი ჩარხები, ხოწები, მგხეკავი დანები; უსწორმასწორო ლოდმა სახე შეიცვალა, ვაპირიალდა, გალამაზდა.

პროფესორი ქვის ხან ერთ ნიმუშს იღებდა. ხან მეორეს, თვალისაგან სხვადასხვა მანძილზე იჭერდა და აკვირდებოდა. როცა ასე შეამოწმა, შემდეგ რამდენიმე ერთად დააყუთა, შორიდან შეათვალიერა და სიხარულით წამოიძახა:

— დიდებულია! საუკეთესო ხარისხთან ერთად მას საოცრებაც დაჰყოლია თან: კავკასიონის მთაგრეხილის გამოხატულებაა შიგ ჩაწეხილი. აბა, შეხედეთ, აი ის ფიქსიებული ჩანაროები, ის ხაზები, ხვეულები, სხვადასხვა ფერით რომ ელვარებენ, ისინი ქმნიან სწორედ ამ დიდებულ სურათს.

— მაშ, შეგვიძლია ჩვენი ლამაზი მთები დაუხატავად გადავიტანოთ ნაგებობათა კედლებზე! — სიხარულით წარმოთქვა თენგა ბიჭმა.



— ველარ მიცანი, ბერკაცო? თენგა ბიჭი ვარ.

— სწორედ რომ ასეა! — უპასუხა პროფესორმა და მარმარილოს ფორფიტაზე აღნიშნა მთაგრეხილის გამოხატულება.

პროფესორმა შემდეგ მარმარილოზე ქიმიური ხსნარების მოქმედების შედეგი და ელდენის გავლენა შეამოწმა, შეადარა საქართველოში დღემდე ცნობილი მარმარილოს სახეები: სალიეთისა, სვანეთისა, შროშისა. ამათგან ზოგს გვერდში ამოუდგა, ზოგი დაჩრდილა, მსოფლიოში ცნობილი მარმარილოს მრავალი ჯიში უკან მოიტოვა.

მკვლევრებმა ქანების განლაგებისა და მიმართულების მიხედვით ჩაატარეს ძიება. კავკასიონის ქედი საყორნის მთიდან ანდარაზნის მთამდე მარმარილოს მარაგით მდიდარი აღმოჩნდა.

გაიმარჯვა თენგა ბიჭმა, შეასრულა ლეგო პაპასთან შეფიცული, — გადაიშალა ლობოტის მარმარილოს წიგნის პირველი ფურცლები!

პირველი ქარავანი

პროფესორის, თენგა ბიჭისა და მისი ამხანაგების მოსვლის შემდეგ ლობოტის ხეობას მყუდროება დაეკარგა: ამოქმედდნენ წერაქვები, აგრუხუნდნენ უროები, ახრიალდნენ ხერხები, აშრიალდნენ შალაშინები, დაიძრა ქვიშისა და ბელტების მეწყერი, კლდეებს მწვანე საბურველი უფრო შემოეფლითა, უფრო გამოჩნდა თეთრი მთები; ბნელი ხეები ბროლისა და ოქროსფერი შუქით ამოივსო. მუშებმა თეთრ მთებში თეთრი ქალაქის საძირკველი ჩაყარეს — თეთრი კარვები აღმართეს, გაიყვანეს გზები, გვირაბები და დაიწყეს მარმარილოს ამოღება.

თენგა ბიჭს ყოველი ახალი შრის გამოჩენა სიხარულს ჰმატებდა; დადიოდა უბნიდან

უბანზე, ამოწმებდა, ეძებდა, იკვლევდა; მან ყველა მუშის ხასიათი იცოდა და ყველას გულისხმიერად ექცეოდა. ამიტომ მუშებსაც უყვარდათ ინიერი, ოქროსგულიანს ეძახდნენ მას. ხშირად სამუშაო იარაღს აიღებდა თენგა ბიჭი, მუშებს მიეშველებოდა და თან ამხნეებდა მათ:

— თამამად შევეუბნოთ კლდეებს, ეყოფათ, რაც უქმად თვლემდნენ, ახლა ჩვენ გვჭირდება ამათი ძალ-ღონე. ლოდი ლოდზე გადმოვაწვინოთ, საცაა დევგმირი ბიჭების ახალი წყება წამოგვეშვლება, მანქანები მოგვივა. ხუმრობა ხომ არ არის, ლოპოტის პირველი საჩუქარი უნდა გავუგზავნოთ საშობლოს.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა მანქანები.

მუშებმა პირველი ქარავანი რომ დატვირთეს, თეთრი მთების ქალ-ვაჟებმა მწვანე ტოტების გვირგვინები შეკრეს, ყვავილებით ამოქარგეს და იმით შეამკეს მანქანები.

დაიძრა მარმარილოს ლოდებით დატვირთული მანქანების პირველი ქარავანი, გადასერა ალაზნის ველი, გომბორის მთაგრეხილი და მეორე დღეს თბილისში შევიდა.

მარმარილოს ლოდები შენობის ახლად ამოყვანილ კედლებთან მიიტანეს.

მალე გათლილი მარმარილოს ლოდები ჩაეწინხა შენობის კარებს, ფანჯრებს, აივნებს, თაღებს, შემოევლო ჩუქურთმებად, თეთრ არმიებად. როცა ცაში ატყორცნილ შენობას ხარაჩოები მოხსნეს, მარმარილოს მორთულობა უფრო დამშვენდა. მისი თეთრი შუქი უფრო შორს მისწვდა. დიდი და პატარა იმის შესახებ ლაპარაკობდა, ბაღები და შადრევნებიც იმაზე ჩურჩულდნენ, პის სილამაზეს ნატრობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მარმარილოს შუქი ერთ-ერთ ბაღშიც შეიჭრა, ოსტატებმა თეთრი მთების ლოდები იქაც მიიტანეს, გათალეს, ბაღის შესასვლელ კარებში თალად შეკრეს, ზედ ვაზის გრეხილები ამოჭრეს და ხარისთვალა ყურძნის მტევნები ჩამოკიდეს. ამას არ დასჯერდნენ, ბაღის შუაგულში თეთრი კლდეები აღმართეს და ზედ ჩანჩქერები გადმოუშვეს.

ს ტ უ მ რ ე ბ ი

კიდევ ბევრი ქარავანი დაიტვირთა თეთრი კლდეებით, თეთრი მთების შოქმა ბევრი სასახლე, ბაღი და წყარო დაამშვენა, ბევრი გულმართალი ქება დაიმსახურა.

გაიმარჯვა თენგა ბიჭმა. გაიმარჯვა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა, ლეგო პაპას ნათქვამი მუდამ ყურში ჩასძახობდა: კავკასიონის მთაგრეხილში მთებია ლალისა, ზურმუხტისა,

ბროლისა, იაგუნდისა... თვითონაც სჯეროდა, რომ ცამდე ატყორცნილი მწვერვალებითა და ვეება ხეობებით დასერილ ღრმად წის ამხელა წიაღში ბევრი სიმდიდრე იმყოფებოდა ჩამალული და ყოველ თავისუფალ დროს მადნების საძიებლად დადიოდა.

ერთ დღეს ის და ორი მუშა, მადნის ძიებიდან დაბრუნებული, მუხათფიცხურას ხეობას მოჰყვებოდნენ. მარმარილოს საბადოებისაკენ მიმავალ გზაზე რომ გამოვიდნენ, ინიერიმა ხეზე ძველი წარწერა შეამჩნია, მიუახლოვდა, იცნო თავისი ნაწერი. ათას ცხრაას თხუთმეტი წლით იყო დათარიღებული. გული აუჩქროლდა ინიერს, აღელდა, გაახსენდა ამ მთებსა და ხეობებში გატარებული ბავშვობა, როდესაც მისთვის ყველაფერი გამოუცნობი იყო და საკუთარ თავს ხშირად ეკითხებოდა, რა უნდა იყოს ამ მთების გადაღმა, საით მიდიან ეს ღრუბლები, ან ეს მდინარეები, ნაკადულები, წყაროები საით მიჩხრიალებენ დაუსრულებლად!

ინიერიმა ერთხელ კიდევ გადაავლო თავი წარწერას. ამ დროს ქვევიდან რალაც ხმაური შემოესმა, პირველად ვერ გაარჩია, შემდეგ ხმაური უფრო ახლოს გამეორდა რამდენჯერმე—პიონერების მხიარული ყრია-მული იყო. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვების მთელი ლაშქარი გამოჩნდა; მოსდებოდნენ გზას, გზის ნაპირებს და მოჰყვებოდნენ სიცილ-კისკისით, სიმღერებით. ისეთი კარგები იყვნენ, გეგონებოდათ ყვავილების გუნდი წამოშლილა და მოდისო. მოჰქონდათ ყვავილები, ფერად-ფერადი სოკოები, ლამაზი კენჭები, თავზე ზოგს ბუერა ეხურა, ზოგს ყვავილების ქუდური.

მათი სიხარულით ბუნებაც, ხარობდა; ხეობა უჩვეულოდ ხმიანობდა — ტყე შრიალებდა, მღეროდა. შაშვები ბუჩქიდან ბუჩქზე ჭახჭახით გადადიოდნენ, კუდგაშვებული ციყვები და თრითინები ხეებიდან ხეებზე მისრიალებდნენ.

როცა პიონერების მეწინავე მეგზურმა ინიერი და მუშები შეამჩნია, ამხანაგებს შეკრების ნიშანი მისცა. წამსვე შეიკრიბნენ ყველანი და მწყობრად წამოვიდნენ. უცნობებს პიონერული სალაში მისცეს და მარმარილოს საბადოების მდებარეობის შესახებ ჰკითხეს. ჩვენც იქით მივდივართო, — უბასუხეს უცნობებმა და მათთან ერთად განაგრძეს გზა. მანძილი საბადოებამდე კიდევ დიდი იყო. გზაზე ბევრი რამ ისაუბრეს, უფრო ხშირად თეთრი მთების შესახებ ლაპარაკობდნენ, მათი აღმოჩენი ლეგო პაპაც რამდენჯერმე ახსენეს.

მარმარილოს თეთრ ქალაქში მისვლისთანავე სტუმრებმა წარმოების უფროსი იკით-

ხეს. აი, ეს თქვენი თანამგზავრია წარმოების უფროსი და ძთავარი ინჟინერიო, — მიუთითეს თენგა ბიჭზე. პიონერებმა უხეოხულობა იგრძნეს, რატომ გზამივე არ შევიტყვეთ მაგისი ვინაობაო, — დანახებითა თქვეს.

ინჟინერის თანხლებით დაღამებამდე მარძარილოს საბადოს რამდენიმე უბანი შემოიარეს, დაათვალიერეს, ძოისმინეს ინჟინერის საობარი საბადოს აღმოჩენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

საღამოთი პიონერებმა თეთრ ქალაქში კოცონი გააჩაღეს. დიდმა და პატარამ იქ მოიყარა თავი. აახმიანეს დოლი, ფანდური, სალამური. სიმღერა და ცეკვა ცვლიდა ერთიმეორეს; გაეჯიბრნენ ძოლექსეები ერთმანეთს, თეთრ ძთებზე ნათქვამი სიმღერებიც ჩამოაწკრიალეს. შემდეგ პიონერებმა კოცონს წრე შემოავლეს. ის იყო სტუმარ-მასპინძლობის სიმღერა უნდა დაეგუგუნებინათ, რომ ამ დროს ინჟინერს უთხრეს, ვილაც გესტუმრათო.

ინჟინერმა მალე სტუმარი კოცონთან მიიყვანა და პიონერებს მიმართა:

— კეთილი კვალი გქონიათ, ჩემო პატარა მეგობრებო, გაიცანით ივანე მიხეილის ძე. ესეც თქვენსავით თეთრი მთების სტუმარია, მხოლოდ შორიდან, ძალიან შორიდან — დიდი ბელადის სამყოფელი ქალაქიდან გვესტუმრა.

— მოსკოვიდან ყოფილაო, — ერთიმეორეს წასჩურჩულეს ბავშვებმა და ყველას სახეზე დიმილმა გადაურბინა.

— ჩვენი მარმარილოს ამბავი შორს წასულა, — განაგრძო ინჟინერმა, — მოსკოვის მიწისქვეშა რკინიგზის — მეტროს მშენებლობიდან გამოუგზავნიათ ივანე მიხეილის ძე და დაუბარებიათ: წადი, სიმტკიცითა და ელვარებით ნაქები ლოპოტის მარმარილო წამოიღე, ჩვენი მეტრო იმითაც დავამშენებთო.

ამ ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია იქ მყოფთა შორის.

ზეიმი კოცონთან შუაღამემდე გაგრძელდა.

მეორე დღეს, დილით, პიონერებმა მოსკოველ სტუმართან ერთად მარმარილოს საბადოები კიდევ დაათვალიერეს, კიდევ მოისმინეს თეთრი მთების თავგადასავალი.

პიონერების წასვლის წინ მუშებმა ყველაზე ლამაზი მარმარილოს კლდე ამოარჩიეს, პატარა ფირფიტები გამოჭრეს, თეთრი მთების სახსოვარი დააწერეს და ბავშვებს დაურიგეს.

ზ ე ი მ ზ ე

თენგა ბიჭის ერთ ნატვრასაც შეესხა ფრთები—წერილი მიიღო მოსკოვიდან—ივანე მიხეილის ძე ატყობინებდა: თქვენი თეთ-



დილით, პიონერებმა მოსკოველ სტუმართან ერთად მარმარილოს საბადოები კიდევ დაათვალიერეს...

რი მთების მარმარილო მეტროს თაღებად თვალწარმტაცად ბრწყინავს. ათი დღის შემდეგ მოხდება ახალი უბნის საზეიმო გახსნა, ჩვენმა მშენებლებმა თქვენ შესახებ ყველაფერი იცან. მოუთმენლად გელიან, იმედი პირობას არ გადახვალთ და ჩამოხვალთო. ამ სიტყვების ამოკითხვის უშუალო თენგა ბიჭს უჩვეულო მღელვარება დაეუფლა, მღელვარებას შიშიც შეეპარა, რადგან ხუთი დღეა იყო ზეიმამდე დარჩენილი, მას კი იმდენი საქმე ჰქონდა მოძალებული, რომ ახლა წასვლა შეუძლებელი ხდებოდა. თუ არა და მეტროს ახალი უბნის გახსნაზე დასწრება ძალიან სწყუროდა. უნდოდა იქაც ენახა თეთრი მთების შუქი, თანაც წარმოების სხვა საქმეებიც ჰქონდა მოსკოვში მოსაგვარებელი. იმედი საპაერო გზაზე გადაიტანა, ერთი დღე გამოყო მისთვის, დანარჩენ დროში კი კვება სამუშაო უნდა მოესწრო.

სამი დღე სწრაფად გავიდა შრომაში. საქმე მოაწესრიგა, ყოველი უბანი საიმედო მუშაკებს ჩააბარა.

შუალამე გადასული იყო, სამუშაოები რომ დაამთავრა და წასასვლელოდ მოემზადა. სხვა დროს ღამე მგზავრობას ასეთ უღრან მთებში შეიძლება მორიდებოდა კიდევ ნამწყემსარი, მაგრამ ახლა ამაზე არც კი უფიქრია.

მისმა ავტომ ნიავეით გაიქროლა გრძელი გზა. რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისის აეროდრომისაკენ გადაუხვია.

გათენდა. აეროდრომზე აგუგუნდა მოსკოვს იმავალი თვითმფრინავი და ცაში აიჭრა.

თენგა ბიჭმა მზის ამოსვლა ასეთი სიმაღლიდან პირველად ახლა ხახა და გაახსენდა, თხუთმეტი წლის წინ ლაჟვარდში მონავარდე ორბს რომ შესცქეროდა და ნატრობდა: ნეტავი იმ ორბის ფრთებზე შემსვა და ქვეყანა შემომატარაო; ახლა თითქოს აუხდა ის ნატურა, მხოლოდ ორბის მაგიერ ფოლადის ფრინველს მიჰყავდა საოცნებო მხარისკენ, იმ მხარისკენ, სადაც მისი თეთრი მთების შუქიც კიაფობდა.

თვითმფრინავი ისეთ სიმაღლეზე მიფრინავდა, რომ შენობები წერტილებივით მოჩანდა, მთები — პატარა გორაკებივით.

აგერ თვითმფრინავი გასცდა კავკასიონის მთაგრეხილს და რუსეთის უსაზღვრო ველებს თავზე მოეწვლა. სწრაფად მიარღვევდა სივრცეს, მაგრამ თენგა ბიჭის ოცნება წინ ასწრებდა ასჯერ, ათასჯერ.

გამოჩნდა მოსკოვი — უსაზღვრო, უნაპირო სამშობლოს გული. რა სანატრელი წუთებია! თენგა ბიჭს ახლა მცირე მანძილია ამორებს დიდი ბელადის სამყოფელიდან.

ერთი საათის შემდეგ გორკის ქუჩის ერთ-ერთი სახლის დერეფანში ზარი აწკრიალდა. მასპინძელმა წაძსვე გააღო კარი. მისული პირველი შეხედვით ვერ იცნო, სახტად დარჩა, მაგრამ როცა სტუმარმა ღიმილი მიაგება, მასპინძელმა აღტაცებით წამოიძახა:

— თენგიზ ვასილის ძე, ჩინებულია! თქვენი პირობა თეთრი მთებივით მტკიცე ყოფილა, სწორედ რომ კარგ დროს ჩამოხვედით, ხვალვე ვნახავთ თქვენი მარმარილოს ელვარებას.

მეორე დღეს სტუმარ-მასპინძელი ადრე წავიდნენ. მეტროს მეოთხე უბნის შესასვლელთან მეტროს მშენებლობის მონაწილენი და სხვადასხვა საწარმოს წარმომადგენლები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ.

ივანე მიხეილის ძემ სტუმარს წასჩურჩულა: როგორც ეტყობა, კრემლიდან უკვე მოსულან და ზეიმი მალე დაიწყებაო.

დანიშნულ დროს გააღეს მეტროში ჩასახველის კარები, აშოქედდნენ მოძრავი კიბეები — ესკალატორები. მათი საფეხუტები ხალხით ივსებოდა და ეშვებოდა. მოსაცდელი გვირაბი-დარბაზი თვალისმომჭრელად ელვარებდა. მისი ყოველი სვეტი, კედლებისა და თაღების ყოველი საწილი დიდი გემოვნებით იყო ჩაძოსძული, გასოთლო, მოჩუქურთმებული, შროძისა და ბრძოლის ქახდაკეცი, თავისუფლების გამოხატულიაბი უჩვეულო ლამაზ იერს აღევადებდა იქაურობას.

თენგა ბიჭმა შესვლისთანავე იცნო კედლებისა და თაღების ჩუქურთმებში ჩასძული ლოპოტის მარმარილო. იმ სახეიმო შექმე იისი სილამაზე, ელვარება უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე თეთრ მთებში. თენგა ბიჭს გული სიხარულით აევსო.

სიტყვებისა და მისალმებების დაწყებამდე კრემლიდან მოსულმა ხელმძღვანელებმა მთელი ხაგებობა გულდასძით დაათვალიერეს. ლოპოტის მარმარილოს რომ ჩაუარეს, ყველაზე დიდხანს ორი მათგანი შეჩერდა, ქართულად დაილაპარაკეს, კავკასიონის მთები ახსენეს, მარმარილო ხელით მოსინჯეს და ერთიძეორეს გაუღიმეს.

ივანე მიხეილის ძემ თენგა ბიჭს სიხარულის დღევა შეამჩნია, მისი ხელი ღონივრად ჩაბღუჯა და მიულოცა, რომ ლოპოტის მარმარილომ მოწოხება დაიმსახურა.

ცოტა ხნის შემდეგ გვირაბში ლიანდაგები აგუგუნდა, ხმაური ძღლევარე ზღვის სუბთქევისასვით მიაწყდა მოსაცდელ დარბაზს. მალე ცეცხლის თვალბემა შემოანათეს, შემდეგ თვით მიწისქვეშა მატარებელი გამოჩნდა და შემოკივლა. გაჭრეს ლიანდაგებზე გაბმული წითელი ზონარი და ელმავალმა ტაშის გრი-ალში შემოკვალა ახალი გზა.

ელმავლის გამოხატულება ლოპოტის მარმარილოს ზედაპირზე აელვარდა, თეთრი მთების ჩამონათალი უფრო დამშვენდა.

თენგა ბიჭმა ინატრა: ნეტავი ლეგო პაპა ცოცხალი ყოფილიყო და დღევანდელი ზეიმი იმასაც ენახაო!



თქმულება ტირიფის ხეზე



რატომ ხარობს ტირიფის ხე ამ მდინარის მახლობლად?
 იქნებ ველად უწყლობა და ზამთრის სუსხი ახმოდა?
 რად დამდგარა ასე ჩუმად, ასე განმარტოვებით
 და თმბოვით, ნეტავ, რისთვის ჩამოშლია რტოები?
 სევდიანად რად გასცქერის მოლივლივე ნაპირებს,
 რად წახრილა, თითქოს წყალში გადავარდნას აპირებს?
 აი, რატომ: თურმე ძველად, საყვარელო ბავშვებო,
 როცა ჩვენს გმირ საქართველოს მტერი ერთჯა გარშემო,
 მონგოლები, არაბები, ლეკები თუ თურქები,
 რომ ეს მიწა მიეტაცათ, გავესრისეთ უკლებლივ, —
 ღაშპირებს ჩვენს აგზავნიდნენ, ჩეხდნენ ბაღებს, ვენახებს,
 რომ უღელქვეშ ქედმოხრილი, ქუდმოხრილი ვენახეთ.
 გაზაფხულდა, მინდორ-ველად დაქრის სოი ფრთამალი,
 ვარსკვლავებით მოქედლია ქართულ ზეცის თავანი...
 უცებ მტერი საქართველოს თავს დაატყდა რისხვითა
 (ან სიკვდილი, ან სიცოცხლე — ორში ერთი გვიხსნიდა),
 დაიტაცეს, მოაოხრეს სანუკვარო რაც არი,
 დაწვეს ზვრები და ქვევრებში მიმოფანტეს ნაცარი.
 შავი კვამლით შეიბურა მთვარე ღამენათევო...
 და როდესაც აციმციმდა მთებზე ცისკრის ნათელი,

ქვეყნის მნგრეველ გადამთიელთ თავს დაესხნენ ქართველნი,
 მაგრამ განა გატყდა მტერი სასტიკი და აშარი?
 ერთი მუტა ქართველთ სისხლით მორწყო ველი გამშრალი,
 მერე იქვე მდინარესთან ცრემლიანი ბავშვები
 ჩახხეს გემში და დაეშვნენ თავქვე ავანგაშებით.
 მოიღრუბლა... წამს მდინარე აიფოფრა, აზვირთდა
 და ნაპირებს დაეჯახა ღმუილით და ბრაზითა.
 ამორგდნენ და აშრილდნენ ხენი ტოტებდახრილნი,
 და მათ ოხვრას შეუერთდა ქაღის კვნესა, ძახილი:
 „ავაგლახ, დედას მიჯობს მოკვდე, ბიჭო თვალბეიშერო,
 განსაცდელში გხედავდე და როგორ ვეღარ გიშველო!“
 ვერ გაუძლო დედის გულში სევდას სასტიკს, აღიანს
 და საბრალომ მდინარესთან ტანჯვით სული დალია.
 განვლო წელმა... მდინარესთან, სადაც შვილზე ტირილით
 მოკვდა დედა, ამობრწყინდა იქ მოხრილი ტირიფი.
 ეს ტოტები, ოქროსფერი მზის სხივზე რომ თბებიან,
 ნაწნავებად ჩამოშლილი ქართველ დედის თმბია,
 და ტირიფის ხორკლიანი ტანი წყლისკენ წახრილი
 ქართველ დედის ძვლები არის, შვილის ძებნით დაღლილი.



ჯანსუღ ნიჟაბაძე
 მხატვარი ბ. ფოცნიშვილი



ნორჩი ლენინელი

საქართველოს
კომუნისტური
პარტიის
ცენტრალური
კომიტეტი

საქართველოს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის კონსერვატორია

„НОРЧИ ЛЕНИНЕЛИ“ орган ЦК и ЦК ККМ Грузии

№ 20 (482)

ბუთხაბათი, 17 მაისი, 1951 წ.

ხანძრის შემთხვევა

გადასული კვირა

ივნისში 20 წელი შეუსრულდა საქართველოს ალკე ცენტრალური და თბილისის კონსერვატორიის ორგანოს „ნორჩი ლენინელი“.

„ნორჩი ლენინელი“! — სად, საქართველოს რომელ კუთხეში არ სწვდება მისი ხმა, ვინ არ კითხულობს მას, ვის არ აღფრთოვანებს მისი ყოველი ახალი ნომრის გამოცემა, რომელიც განაფხვავს მერცხლის მოფრენას პავს სკოლასა და ოჯახში, სოფელსა და ქალაქში! რომელ ბავშვს არ მეგობრობს ეს საყვარელი, მრავალფეროვანი, საინტერესო გაზეთი. ვინ არ ეზიარა მის ნათელ სტრიქონებს ამ ოცი წლის მანძილზე ახაბანის შესწავლიდანვე. რამდენი ათასი და ათეული ათასობით ბავშვისათვის აუხეღია მასაც თვალი ამ ხნის განმავლობაში, უფრო მეტად გაუღვიძებია სწავლის სურვილი, წიგნის სიყვარული, აღუთია ცოდნის შეძენის წყურვილი!

20 წელი! იცო, ბავშვებო, დროს რა მანძილია ეს? აბა, გონების თვალი მიმოავლეთ ამ სახელოვან წარსულს საყვარელი საბჭოთა საქართველოს ისტორიისას 1931 წლიდან! ამ პერიოდს ეკუთვნის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, ქალაქად ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის, კულტურისა და მთელი სახალხო მეურნეობის არნახული აღმავლობა, ამ პერიოდში საქართველოს მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, წარმატებით განახორციელეს ოთხი სტალინური ხუთწლიანი. საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

არ მომხდარა რესპუბლიკის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი რამ, რასაც ბავშვების საყვარელი გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ არ გამოხმაურებოდა. მას ნორჩი მკითხველთან მუდამ მიჭონდა რესპუბლიკის ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა.

მთავარი გეზი გაზეთისა იყო და არის ლენინის ბრძნული ანდერძის განხორციელება — „სწავლა, სწავლა და კვლავ სწავლა!“

გაზეთი და მისი მრავალათასიანი მკითხველი წარმატებით ახორციელებენ ლ. ბერიას მითითებას — „მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცე ფრიადზე სწავლა!“

როცა მოინება გაზეთის მიერ განვლილი გზისკენ, გული სიამაყის გრძნობით გევსება! — ასობით და ათასობით მკითხველი, რომლებიც ამ გაზეთის პირველი წლების ნომრებს ეზიარებენ, — დღეს სამშობლოს სასარგებლო და სახელოვანი ადამიანები არიან. მისი ყოფილი ბავშვობები დღეს მოწინავე ექიმები და ინჟინრები, მასწავლებლები და მწერლები, ოფიცრები და პრესის მუშაკები არიან. განა ცოტა წვლილი უდევს „ნორჩი ლენინელი“ მათს აღზრდაში? სკოლასთან ერთად „ნორჩი ლენინელიც“ ზრდიდა მოსწავლე შოთა გამცემლიძეს, რომელმაც შემდგომ დიდ სამამულო ომში მამაცური ბრძოლითა და გმირული სიკვდილით უკვდავება მოიპოვა და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მოიხვეჭა! სკოლასთან ერთად „ნორჩი ლენინელიც“ ზრდიდა პატრიოტიზმის გრძნობით მოსწავლე სურგი ჩელებაძეს, რომელმაც წარჩინებით სწავლასთან ერთად სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა.

გაზეთის პირველი ნომრების მკითხველებიდან და ბავშვობებიდან დღეს ბევრი თვითონაა ბედნიერი მშობელი დღევანდელი „ნორჩი ლენინელის“ ყველაზე ნორჩი მკითხველებისა და ბავშვობებისა.

იფურჩქნება ნიჭი და შემოქმედება სტალინური ეპოქის ნორჩი ყვავილებისა. დიდი სტალინის მზრუნველობით გარემოცული ბავშვები ეუფლებიან ცოდნას, მეცნიერების საფუძვლებს, სწავლობენ ბეჯითად, რომ სამშობლოს სახელოვანი შვილები გახდნენ. დილია ამ საქმეში „ნორჩი ლენინელის“ დამსახურებაც.

„ნორჩი ლენინელი“ საქართველოს მოსწავლეებისა და პიონერების საყვარელი გაზეთია.

ეუსურვოთ შემდგომი წარმატება გაზეთისა და მის მკითხველებს.



სული
თიქა

ბ. პრივალოვი

მ ო თ რ ო ბ ა *

მხატვარი თ. მიქაძე

ორი კვირის მანძილზე გრძელდებოდა გა-
ფიცვა, ბოლო არ უჩანდა.

— ამრევები, უსაქმურები! — იგინებოდა
ქალაქში მიმავალი სამხედრო კომენდანტი.
— იმ დღესაც მოესწრებით, ყველას ელექ-
ტროსკამზე რომ დავსვამენ!

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექ-
ტროსადგური იმუშავებს! — უპასუხებდნენ
გაფიცულნი.

ერთხელ შუალამისას პოლიცემისტერთან
მივიდა უცნობი კაცი და განუცხადა, რომ
შეუძლია დაეხმაროს მას აჯანყების
ჩაქრობაში, თუ შესაფერ ჯილდოს
გაიღებენ, რომ მუშებს ხელმძღვანელობს
ვინმე კომუნისტი „ზელბერფოლკი“.

— აუუი ამ ხელმძღვანელს მოვსპობთ, მა-
შინ მუშებთან მოლაპარაკება ადვილია, —
შესთავაზა უცნობმა პოლიცემისტერს და
თან ზელბერფოლკის ნიშნებიც უთხრა.

— ჩვენ მას დღესვე ვიპოვით! — განაცხა-
და პოლიცემისტერმა. — მთელ პოლიციას
ფეხზე დავაყენებ!

მთელი ქალაქი პოლიციელებით აივსო.
უამრავი მცველი და რწმუნებული დაეხეტე-
ბოდა იმ დღეებში ქუჩებში, რადგან დიდ სი-
მდიდრეს ჰპირდებოდნენ თითოეულ მათგანს
ზელბერფოლკის მკვდრად ან ცოცხლად წარ-
მოდგენისათვის.

ბედმა გაუღიმა № 891 რწმუნებულს. სა-
ლამო ეამს ცხრის ხუთ წუთზე ერთი საშუალო
ტანის კაცი მიდიოდა ელექტროსადგურის
მხრიდან, განეთის რედაქციის მიმართულე-
ბით. მიმავალმა ქარს ზურგი შეაქცია და პა-
პიროსს მოუკიდა. როდესაც ასანთის სინათ-
ლემ სახე გაუნათა, რწმუნებული, რომელიც

დიდი ხანია უთვალთვალებდა, მიიჭრა მას-
თან და დაუყვირა:

— დაპატიმრებული ხართ! ადგილიდან არ
დაიძრათ! — და მყისვე მის ხელებზე სამა-
ჯურებმა გაიფლავა.

რწმუნებული ამყად მიდენიდა პოლიციის
განყოფილებისაკენ თავის „ნანადირევს“.

მაგრამ მკვირცხლ რწმუნებულს დიდი
უსიამოვნება ელოდა: ორი წუთის განმავ-
ლობაში ორ სხვა რწმუნებულს ერთმანეთის
დამოუკიდებლად დაეჭირა კიდევ თითო
ზელბერფოლკი.

რაიონის უფროსი — ლეიტენანტი დაიბნა,
როდესაც უცებ ხელთ იგდო სამი ზელბერ-
ფოლკი. ლეიტენანტმა მაშინვე სამმართვე-
ლოს აცნობა ეს არაჩვეულებრივი შემთხვევა
და როდესაც უფროსის პასუხი მოისმინა,
უღონოდ დაეშვა საეარქელზე. სამმართვე-
ლოდან ატყობინებდნენ, რომ უკანასკნელი
ნახევარი საათის განმავლობაში მეცხრამეტე
შემთხვევა იყო ზელბერფოლკის დაპატიმრე-
ბისა და ყველაზე უცნაური ის იყო, რომ
დაპატიმრებულები თუმც ერთმანეთს არ
ჰგავდნენ, მაგრამ ნიშნები თითქოს საერთო
ჰქონდათ.

ზელბერფოლკების რიცხვი იზრდებოდა.

თითქმის ყოველ მუშაში ნახულობდნენ ამ
უცნობი კომუნისტის ნიშნებს და როდესაც
შეეკითხებოდნენ ზელბერფოლკზე, ისინი
მხოლოდ მხრებს აიჩეჩდნენ და იღიმებოდ-
ნენ...


— ფული რამდენიც გინდათ, ოღონდ იპო-
ვეთ ის მეამბოხე! — ამბობდა პოლიცემის-
ტერი. — განაგრძეთ დაპატიმრებანი.

ყოველ ხუთ წუთში ატყობინებდნენ უფ-
როსს დაპატიმრებულთა გაზრდილ რიცხვს.

ყოველ მუშას ამსგავსებდნენ პოლიციელე-
ბი კომუნისტ ზელბერფოლკს. თუმცა გარეგ-

8
535

* ეს მოთხრობა ამერიკის ერთ-ერთი ქალაქის მუ-
შათა ცხოვრებას ეხება.





რწმუნებული ამაყად მიდენდა პოლიციის განყოფილებისაკენ თავის „ნანადირევს“.

ნულად სულ სხვადასხვანაირნი იყვნენ ეს ზელბერფოლკები: მალღები, დაბღები, გაძიდრები, გაფითრებულები, ქერები, შავგვრემანები... მაგრამ მათ ყველას უხილავი რალაც აერთებდა.

— შეიძლება იფიქრო, რომ ყველა ესენი ნათესავეები არიან, — თქვა ერთმა რწმუნებულმა.

— ჩვენ დიდი ხანია ყველანი დანათესაებულნი და დაახლოებულნი ვართ, — უპასუხა ერთმა პატიმართანგანმა. — პოლიციელო, განა თქვენ ეს არ იცოდით?

— ეგებ ამ უხილავმა კომუნისტმა სახე შეინიღბა, მაშინ, რასაკვირველია, ამ ნიშნებით მას ვეღარ დაეჭერთ! — თქვა ერთმა ოფიცერმა.

ამ აზრმა სულ შეშალა რწმუნებულები. თავგზააზნეულები და ქანცგამოლეული მცველები და შეხებალათიანები დარბოდნენ ქუჩებში და არ იცოდნენ რა ექნათ... იჭერდნენ ყველას, ქალღესაც.

მაგრამ ყველას ხომ ვერ დაიჭერდნენ?

ზელბერფოლკი უწინდებურად ხელმოუწვლომი რჩებოდა. ის ყველგან იყო, — ცხადია, ხალხში, თითქმის ყველა ჰგავდა მას. მზებელი დუღებით და აზრებით, იმყოფებოდა ყველა ველი დაპატიმრებულის ღიძილში, ყოველი გაფიცულის სიტყვაში, მაგრამ „მისი“ არც მოკვლა და არც დაპატიმრება არ შეიძლებოდა, მას არავინ იცნობდა.

— დაპატიმრეთ მთელი ქალაქი! — სთხოვდნენ ქარხნის მფლობელონი პოლიციემისტერს. — დაიჭირეთ ყველა, თუკი საჭირო იქნება.

პოლიციემისტერს და რაიონის უფროსს თავგზა აებნათ. ერთი კი ცხადი იყო: აუცილებლად უნდა შეეწყვიტათ დაპატიმრება, გაეთავისუფლებინათ დაკავებულნი და დაეკმაყოფილებინათ გაფიცულნი. სხვანაირად შეუძლებელი იყო, ვინაიდან არ იცოდნენ, როგორ დამთავრდებოდა ეს ღამე. სად იყო ამდენი ციხე, რომ ეს ხალხი დაეტიათ, კიდევ რომ დატეულიყო, მაშინ ვიღას უნდა ემუშავა?

ფაბრიკა-ქარხნების მფლობელონი დარწმუნდნენ, თუ როგორი მჭიდრო და მყარი კავშირი ჰქონდათ ასეულ ათას მუშებს, მუშებს, რომელონიც სიმღერით დადიოდნენ ქალაქში და დასცილოდნენ ჰკუდაკარგულ პოლიციელებს, რომელთაც ხალხის დაპატიმრება განიზრახეს.

... დილით, როდესაც დაპატიმრებულები შინ დაბრუნდნენ და მექარხნეთა კავშირი დაეთანხმა გაფიცულთა კომიტეტის მოთხოვნას, ადგილობრივი კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა — ძველმა, ყველასათვის ცნობილმა ელექტროტექნიკოსმა — დიდი მიტინგი ჩაატარა. ეს მიტინგი მიძღვნილი იყო ზელბერფოლკისადმი, ვისი სახელიც არავის ეკუთვნოდა და რომელიც გერმანულ ენაზე ნიშნავს „თვითონ ხალხს“.

მოსკოვის დამაარსებლის ძეგლი

სტალინური პრემიის ლაურეატმა მოქანდაკე სერგეი ორლოვმა და მისმა თანაშემწეებმა შექმნეს მოსკოვის დამაარსებლის იური დოლგორუკის ძეგლი.

როგორც ცნობილია, 800 წლის წინათ სუზდალის მთავარმა, ვლადიმერ მონომახის შვილმა იური დოლგორუკმა მდინარე მოსკოვის ნაპირას დააარსა ქალაქი, რომელსაც შემდეგ წილად ხვდა ქცეულიყო რუსეთის სახელმწიფოს დედაქალაქად.

იური დოლგორუკის გამოსახულება (პორტრეტი) არ შენახულა. ს. ორლოვმა და მისმა თანაშემწეებმა ბევრი ისტორიული წიგნი და მატრიანე წაიკითხეს, რომლებშიც აღწერილია იური დოლგორუკის ცხოვრება

და მოღვაწეობა. ისტორიული ცნობების დახმარებით საბჭოთა მოქანდაკეებმა შექმნეს სახე რუსი ნაციონალური გმირისა, მეომრისა და მშენებლისა. ძეგლში იური დოლგორუკი გამოსახულია როგორც ვაჟაკი, თავის საქმეში დაჯერებული და ბრძენი მმართველი. მის ამ ღირსებებში შეერთებულია რუსი ხალხის ძალა და სამართლიანობა.

მოქანდაკეებმა და ხელოვნებმა ბევრი იმუშავეს, რომ თიხისაგან გამოქერაულიყო დიდებული ძეგლი.

ძეგლი დამთავრებულია. იგი ბრინჯაოს მონუმენტად ჩამოსხმული დაიდგება მოსკოვში, საბჭოს მოედანზე.

ოქტომბრის გმირი



ასე უწოდა დიდმა სტალინმა რევოლუციის კეთილშობილ რაინდს ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის.

ფელიქს ძერჟინსკის მთელი ცხოვრება ხალხისადმი თავდადებული სამსახურის, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების საუკეთესო მაგალითია. ნორჩ თაობას, რომელსედაც ნამდვილი მშობლიური სიყვარულის გრძნობითა ზრუნავდა ფელიქს ძერჟინსკი, მუდამ მაგალითად ექნება ამ სახელოვანი ადამიანის ცხოვრება.

ამ რამდენიმე წლის წინათ ფელიქს ძერჟინსკის მეუღლე სოფიო სიგიზმუნდის ასულს მეტად საინტერესო შეხვედრა ჰქონდა მოსკოვის გარეუბნის პიონერული ბანაკის პიონერებთან. სოფიო სიგიზმუნდის ასულმა მრავალი საინტერესო ეპიზოდი უამბო ბავშვებს ფელიქს ძერჟინსკის ცხოვრებიდან. აი ზოგი რამ მისი ნაამბობიდან:

ძერჟინსკი პოლონელი იყო. ის დაიბადა 1877 წელს ღარიბ ოჯახში. მისი დედა მეტად კეთილი და სათუთი გრძნობის მქონე ადამიანი იყო. ფელიქსს ადრე გარდაეცვალა მამა და დედას წილად ხვდა მრავალრიცხოვანი შვილების აღზრდის მძიმე ჭაპანი მართო გაეწია. დედას აბა საიდან მოეტანა იმდენი ფული, რომ ბავშვებს ესწავლათ. და ფელიქსმა მხოლოდ 12 წლისამ შეძლო სკოლაში შესვლა. ფელიქს ძერჟინსკი მუდამ უდიდესი სიყვარულით იგონებდა დედას, რომელმაც პირველად აუხილა თვალი, ჩააგონა პატივისცემა და სიმპათია უბრალო ადამიანებისადმი, შთაუწერგა, რომ ადამიანის უმაღლესი ბედნიერება ცხოვრებაში არის ჩაგრულთა თავისუფლებისათვის ბრძოლა. მძიმე იყო სკოლის წლები. სწავლის ნაცვლად მოსწავლეებს ხშირად ჩაამწყრივებდნენ მეფის პორტრეტის წინ და უბრძანებდნენ ელოცათ მეფისათვის, ფელიქსს კი მაშინაც სძულდა წყეული მეფე. მიუხედავად ცუდი პირობებისა, ფელიქსი კარგად სწავლობდა. მუდამ მხიარული იყო. იგი ამხანაგებს უყვარდათ, რადგან სხვებზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ თავზე. მას არასოდეს არ უყვარდა სიცრუე.

ჩვიდმეტი წლის ფელიქსი მარქსისტულ წრეში შევიდა. თავისი ამხანაგების წინაშე მან დასდო საზეიმო ფიცო, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე იბრძოლებდა უსა-



ფელიქს ედმუნდისძე ძერჟინსკი

მართლობის, მეფისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. იმ ხანიდან დაიწყო მისთვის პროფესიონალი რევოლუციონერის მეტად ძნელი, საფრთხით სავსე ცხოვრება. იგი აყალიბებდა მუშათა წრეებს მჩაგვრელებთან საბრძოლველად, აწყობდა გაფიცვებს, ბეჭდავდა ფურცლებსა და მოწოდებებს. ოცი წლისაც არ იყო, როცა მეფის უნდარმერამ რევოლუციური ბრძოლისათვის ციხეში ჩაამწყვდია. ციხეში ერთი წლის ტანჯვის შემდეგ ის გადასახლეს ჩრდილოეთში, მივარდნილ სოფელ კაიგოროდსკოეში. იქიდან იგი გაიქცა და კვლავ განაგრძო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა. მაგრამ სამი თვის შემდეგ ძერჟინსკი ისევ დააბატიმრეს. ციხეში ფელიქსი ტუბერკულოზით დაავადდა. 11 წელიწადი იჯდა ძერჟინსკი მეფის ციხეებში, სამჯერ იყო გადასახლებაში და სამჯერე გაიქცა იქიდან. 1917 წლის დასაწყისში იგი ბუტირკის ციხეში იმყოფებოდა, მისჯილი ჰქონდა 6 წლის კატორღა. მაგრამ რევოლუციამ ფართოდ გაუღო მას ციხის კარები, და ძერჟინსკი კვლავ ბრძოლაში ჩაება.

ბავშვების მეგობარი

ეს იყო 1910 წელს. ძერჟინსკი საცხოვრებლად მოეწყო ქალაქ კრაკოვის გარეუბანში, პატარა სამზარეულო ოთახში. კედელთან იდგა უბრალო ტახტი, მაგიდა და სკამი. იქიდან ხშირად მოიხსოვრა მხიარული ფუსფუსი და ბავშვების სიცილი: ბავშვები ერთობოდნენ სათამაშოებით, რომელიც ფელიქს ედმუნდის ძემ გაუყვამათ მათ ქაღალდისა და მუყაოსაგან.

როცა დასველება უნდოდა, ფელიქსი გადიოდა თავის პატარა მეგობრებთან და ისინი მხიარული ჟივილ-ხივილით შემოერთყმოდნენ მას, ხელში ხელს ჩაჰკიდებდნენ, აუციოდებოდნენ ზურგზე. როცა ფელიქსი ეზოში გადიოდა, ყოველი მხრიდან გამოობოდნენ მის შესახებდრად ბავშვები შეძახილებით: — „ჩვენი ძია მოდის, ჩვენი ძია მოდის!“

ასე იყო ხშირად. უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა ფელიქსი შინ მოიბრუნდა ხოლმე სადილად 15-20 წუთით, მას მუდამ თან მოჰყავდა რომელიმე ჩვენი მეზობლის ბავშვი. ფელიქსი მიუჯდებოდა მაგიდას, ბავშვს მუხლებზე დაისვამდა, და ერთი წუთით არ წყდებოდა მხიარული სიცილი მაგიდასთან.

ჩვენი შვილი იასი მას ძალიან უყვარდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო ფელიქს ედმუნდის ძე, მას მუდამ ახსოვდა იასი და სათუთად ზრუნავდა მასზე. ძერჟინსკის, საერთოდ, უყვარდა ბავშვები.

„არ ვიცი რატომ, — წერდა იგი, — მე ბავშვები ისე მიყვარს, როგორც არავინ სხვა... და მე მგონია, რომ საკუთარი შვილები უფრო მეტად არ შემეყვარებოდა, ვიდრე არასაკუთარი. ხშირად, ხშირად მგონია, რომ დედას ისე არ უყვარს ისინი, როგორც მე“.

თუმცა დიდი სახელმწიფოებრივი მუშაობით იყო დაკავებული, მაგრამ ფელიქს ედმუნდის ძე მუდამ პოულობდა დროს თვალყური ედევნებინა პიონერული რაზმების ცხოვრებისათვის. ის თავისი შვილისაგან მოითხოვდა პიონერული წესების განუხრებლად შესრულებას.

ერთხელ იასი მძიმე ავადმყოფი იყო. ექიმმა მას ჯანის მოსაკრებად თითო ჩაის კოვზი კონიაკის დაღვევა დაუნიშნა. როცა დედამ შვილს პირთან მიუტანა ჩაის კოვზი კონიაკით, იასმა არაგზით არ დალია იგი:

— პიონერული კანონი ნებას არ რთავს პიონერს დალიოს ღვინო, — დაიწყო მტკიცება მან.



ფელიქს ძერჟინსკი ბავშვობაში

დედამ კი სცადა დაერწმუნებინა შვილი, რომ ეს წამალია და ისიც სულ რაღაც ერთი ჩაის კოვზი. ფელიქს ედმუნდის ძემ შეაქო შვილის საქციელი:


— იგი უკონიაკოდაც მოკეთდება, — თქვა მამამ, — ხოლო პიონერული დისციპლინა არასოდეს არ უნდა დაარღვიოს.

სამოქალაქო ომის შემდეგ ობლად დარჩენილ მრავალ პატარა მოქალაქეს ნამდვილი მამობა გაუწია ფელიქს ძერჟინსკიმ. მან გადაარჩინა ათასობით უპატრონო ბავშვი შიმშილით სიკვდილისაგან და დაეხმარა მათ გამხდარიყვნენ საბჭოთა კავშირის ღირსეული შვილები.

ძერჟინსკი იყო ნამდვილი კომუნისტის საუკეთესო მაგალითი. მისთვის, ისევე როგორც ლენინისა და სტალინისათვის, ცხოვრების აზრს წარმოადგენდა ბრძოლა ხალხის ბედნიერებისათვის.

ფელიქს ძერჟინსკი ლენინის წინადადებით 1917 წელს დაინიშნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის („ექსკ“) თავმჯდომარედ. ამ კომისიის ამოცანას შეადგენდა კონტრრევოლუციის, სპეკულაციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლა. 1921 წელს იგი ვზათა სახალხო კომისრად დაინიშნა, ხოლო 1924 წელს — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. ყველგან, სადაც კი პარტიამ გაგზავნა, ფელიქს ძერჟინსკიმ გამოიჩინა უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი, დაიმსახურა მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული. მას ხალხმა სიყვარულით უწოდა „რკინის ფელიქსი“.

სსსუმარი



ზეპარიე შეპაზალიშვილი

პოემა

მხატვარი მ. ბელეცკაია

1

ზედ ონის ხიდის ყურესთან
მანქანამ მგზავრი ჩამოსვა,
ნაბრძოლი ჯარისკაცია,
მშვიდობა იმის ჩამოსვლას.
მარჯვენა ფეხში დაჭრილი
მოვიდა ცალი ყავარჯნით,
ჯარისკაცური ჩექმებით,
ჯარისკაცური ფარაჯით.
მგზავრებმა ზურგზე მოჰკიდეს
მწვანე, მსუბუქი ზურგჩანთა,
ფარაჯის შიგნით ბრტყელი და
ფართო მხარბეჭი უჩანდა.
გულთბილად დაემშვიდობა
შოფერს და მგზავრებს დანარჩენს,
როცა მანქანა წავიდა,
მარჯვენდ დაენდო ყავარჯენს.
სარეცელმა და ჭრილობამ
აული ვერაფრით გატეხეს,
მოვიდა მხოლოდ ეს არის, —
ფერი არ აძივს სახეზე.
ჯარისკაცს სახეც, ხელებიც
მიტკლისფერი აქვს ერთიან,
საოცარი აქვს წარბები:
მარჯვენა — თეთრზე თეთრია;
შავზე შავია მარცხენა,
თითქოს ნახშირში გაექნას,
და ლებანიძე გიორგის
„წარბაც“ ამიტომ დაერქვა.

2

დედაბერა დელის ქვემოთ
ბექობივით ადგილია,
ბალიანი, მოლიანი,
მუდამ სუფთად დაგვილია.

იმ ბექობზე სახლი მოჩანს,
ქათქათა და მაღალია,
და იმ სახლში ყოველივე
სუფთაა და ახალია.
ირგლივ ყველაზე სიცოცხლეა
და ბავშვები ყიფინებენ,
თავის დროზე დგებიან და
თავის დროზე იძინებენ.
სწავლითა და თამაშობით
არასოდეს დაშრებიან,
გაიხარონ, დაიზარდონ, —
უდემამო ბავშვებია.
ზოგი უკვე მოზრდილია,
ზოგნი — თითქო კვირტებია
და სამშობლოს გასახარად
ჯანმრთელები იზრდებიან.
ყველ სუფთად ჩაცმულია
და საამო შესახედი,
ყელზე შეენით პიონერის
ალისფერი ყელსახვევი.
მათი მოაღო-პატრონობა
ჩვენს სამშობლოს აბარია,
ის სახლკარი ამ ბავშვების
მშობლიური სახლკარია.
ამოზრდელები ამ ბავშვების
სიყვარულით იღვევიან,
მათზე ფიქრი არ ასვენებთ —
თითქოს ოდიძი შვილებია.
ახლა ლამის ცას უწიოს
ამ ბავშვების ყრიაშულმა,
„მალულობას“ ვინც თამაშობს,
აქით-იქით მიმალულან.
მოზრდილები გატაცებით
ლახტაობენ ჭიშკრის ახლოს,
ამ დროს ჩვენმა ჯარისკაცმა
ეს ჭიშკარი შემოაღო.

შემოალო, შემოვიდა
და ყავარჯნით შედგა იქვე,
დაიმორცხვეს პატარებმა
და ქამრები წამოკრიფეს.
ჯერ მოსული შეამოწმეს,
მერე მისი ყავარჯენი,
უცებ იცნეს ზოგ-ზოგებმა,
განზე გადგნენ დანარჩენნი.
იცნეს, იცნეს, წარბით იცნეს,
გაეჩანენ ალტაცებით,
ჯარისკაცის ვინაობა
მალე გახდა გასაგები.
აღსაზრდელნი, აღმზრდელები
გამორბოდნენ ყვილა მხრიდან,
ხმა გავარდა: — ჩვენი წარბა
ლებანიძე ჩამოვიდა!
გადაკოცნეს, გაიხარეს,
მოსულოს თავზე ეღლებიან.
თვალზე ცრემლი მოსდგომიათ —
სიხარულის ცრემლებია.
როს ბავშვები გადაკოცნა,
როგორც ღვიძლი დები, ძმები,
ცრემლმა ძუნწად ჯარისკაცსაც
შეუსრელა წამწამები.
ლებანიძეს ეს სახლკარი
სანატრილი ჰქონდა მუდამ,
თვითონაც აქ წამოიჩიტა,
თვითონაც აქ დაჭაბუკდა.
ამ სახლკარში აღიზარდა,
ამ სახლკარის შვილი არი,
დოიგრძილობდეს ეს მიდამო
გენახიან-ხილიანი.
სანაჩებო გაზრდილიყოს
აქ მოსული ყველა ბავშვი,
ნომარი ჯარისკაცი
აქ მობრუნდა როგორც სახლში.
სადაც არის, როგორც არის,
მისი გული აქეთ იწევს,
ეს სახლ-კარი გააკოცობით
ასახლა ლებანიძემ.
ეს ბავშვები დაიფარა,
ნორჩნი, ცერისოდენები,
მკერდზე მიტომ უელგარებს
მედლები და ორდენები.

3

საბავშვო სახლის ეზოში
კაკალი არის ვეება,
მას პირველობა არგუნეს
სხვა დანარჩენმა ხეებმა.
ისე გაშლია ტოტები,
მზის სხივი ვერსად გაატანს,
სულ მალე უნდა ჩამოჰკრას
დილის თორმეტმა საათმა,



...შემოალო, შემოვიდა
და ყავარჯნით შედგა იქვე...

კაკლის ქვეშ სხედან გიორგი,
ლენა და მარო დეიდა,
შეყვითლებული ფოთლები
ღამობის ზევიდან.
წარბას, აღმზრდელი ქალები
ამბავს ჰკითხავენ ფრონტისას,
ჭაბუკი ფრონტზე განცდილის
მოგონებებმა მონისლა.
ნეტა არც აგონდებოდეს
და მეტი არა უნდა-რა, —
თურმე გოგია რაზმაძე
თვალწინ გაუქრო ყუმბარამ.
გოგია, მისი ძმობილი,
ისიც ამ სახლში აღზრდილი...
ო, ის დღე მოსაგონებლად
ჯოჯოხეთია ნამდვილი.
გიორგი ყვება, ქალები
ვიშვიშებენ და ოხრავენ...
ამ საუბარში გართულებს
თავს წამოადგათ ჯოხაძე.
ჯოხაძე — კაცი ღარველი,
თავმჯდომარეობს კოლექტივს.
ზურგიდან წამოეპარა,
გიორგის დაჰკრა მარჯვენა,
შემოტრიალდა გიორგი,
შეხედა, მაგრამ არ სჯერა,

— მოულოდნელი შეხვედრა
ამგვარად ხდება ხანდახან...
ერთმანეთს გადაეხვივნენ
ორ წელს ნაბრძოლნი მხარდამხარ.
ორ წელს იბრძოლეს მხარდამხარ,
ერთუროს დასცილდნენ ხარკოვთან,
როცა ოტია დაეცა
და დაჭრილს გრძნობაც არ ჰქონდა,
იმ დღიდან მისი ამბავი
ველარ გაიგეს ნაწილში, —
შემდეგ ლაზარეთს გიორგიც
ეწვია ფეხში დაჭრილი.
— თურმე ბევრი რამ მოხდება,
სადაც ბრძოლა და ფრონტი,
რა ძალამ გადამარჩინა,
არ ვიცი! — ამბობს ოტია.
ოტია თურმე ამ დილით
ჩამოსულიყო მიწგანში,
„წარბას“ ჩამოსვლა გაეგო,
გამოქცეულა იმ წამში.
ახოვანება უხდება
უკვე ჭალარაშეფენილს,
ორმოცდახუთის შესრულდა,
გიორგი შევილად შეპფერის.
გაოგნებული გიორგი
კითხვას კითხვაზე აყრიდა,
ამბავი ამბავს წაება, —
ფრონტელ ძმებს რაღა გაყრიდა.
ბოლოს ესა თქვა ოტიამ:
— რაც რომ დაჭრილი მოვედი,
მას შემდეგ ვთავმჯდომარეობ
იმ ჩვენი ღარის კოლექტივს.
კარგია ჩვენი სოფელი,
კარგად გვიმართლებს მოსავალს,
ეს ჩვენი ღარიც აქვეა,
აქვეა, განა შორსაა.
ხომ გესმის, — ჭიშკარს გადაღმა
ის ჩემი ცხენი ჭიხვინებს,
ახლავე შეგსვამ, წაგიყვან,
შენივე თვალით იხილე.
კვიცია, თავსაც არჩიო,
შვილივითა მყავს მოვლილი,
შეჯექ, არ გატკენს ჭრილობას
მაგის მსუბუქი რონინი.
ფრონტზე წასილის წინ ვიყიდე,
ჩამოვილ, ცხენი გაზრდილა,
დღეს შეჯექ, თორემ მგასაც
ფრონტზე ვაგზაჟნით ხვალ დილას.
წაგიყვან, ჩემთან დაგტოვებ,
იქიდან არსად გაგიშვებ,
შენი ამბავი რომ ვიცი, —
ივარგებ მოანგარიშედ.
მოანგარიშე აღარ გეყავს,
ფრონტზე წავიდა იმ კვირას.
— „წარბას“ ვერაუვის გავატან! —
ლენა დეიდამ იკვილა.

— რას ჰქვია თქვენი არტელი
და თქვენი მოანგარიშე,
ჩვენი გაზრდილი ჩვენთანვე
მომმარაგებლად დავნიშნეთ.
ეს კი იცრუა დეიდამ,
თუმც მატყუარა როდია,
იცრუა, მაგრამ სიცრუეს
მალე მიუხვდა ოტია.
მიუხვდა, მერე იმდენი
გამოიჩინა უნარი,
რომ ქალებს თვალს და ხელს შუა
გამოაცალა სტუმარი.

4



ღარულა, საესე კალმახით,
მღინარე ტალღებამ, მამა,
ხანდახან ისე დაშრება,
წისქვილის წყლადაც არ კმარა.
სიმოერით მოდის ღარულა,
მთასა და მინდორს უგალობს
და ონის ბოლოს რიონში
ჩაიკარგება უკვლოდ.
ამ ადგილიდან იწყება
ღარის ყანები, ბაოები.
თარი.. მხარმარცხნივ ღარულა,
მარჯვნივ — რიონის ჩაოლოები.
მთები და მთები გარშემო,
ჩყით შებურჯილნი, ნატიფნი,
მთის ფერდობებზე სოფლები
და მათი სახნავ-სათიბი.
გიორგი, ჩვენი გიორგი
უკმაყოფილო როდია,
რომ ჯანზე მოსაკეთებლად
თარში ესტუმრა ოტიას.
სოფლის ცხოვრებამ მოხიბლა,
სოფლის ცხოვრებით გაერთო,
ნაავადყოფარ სახეზე
სიცოცხლის ფერი დაედო.

5

ჯერ შემოდგომამ იჩქარა,
მერე ზამთარიც გავიდა,
მაგრამ გიორგი ღარველებს
ვერ გამოექცა ღარიდან.
ისე შეუჩინდა ოტია
და მთელი მისი სახლობა,
რომ ღარჩენაზე გიორგის
დაცდენინეს თანხმობა.
გიორგიმ მალე იპოვნა
მეგობრები და ტოლები,
ღარი გიორგის მოსწონდა,
გიორგი — ღარის კოლექტივს.

რაკი გიორგი დათანხმდა
 საქმე შეიქნა ადგილი,
 უმაღლვე გადააბარეს
 მონაგარიშის ადგილი.
 — გადააბარონ, რა უშავს,
 აზრი არა აქვს არჩევანს,
 გიორგი მონაგარიშედ
 განა დიდი ხნით დარჩება?!
 რაც ხანი გადის, ჭრილობა
 უფრო და უფრო ურჩება,
 წამალიც აღარ სჭირია
 ტკივილის დასაყუჩებლად.
 მორჩება, ტიალ ყავარჯენს
 გადაამტვრევს და გადისვრის,
 სამშობლოს საზღვრებს გადაღმა
 ფრონტის გუგუნი გაისმის.
 ჩვენმა გმირებმა მხეცები
 თავის ბუნაგში შეყარეს,
 სტალინის ჯარისკაცების

ვაშა გაისმის მჭექარე.
 მორჩენას ჩქარობს გიორგიც,
 რომ კვლავ შეებავს მტარვალებს,
 რომ კვლავ გმირულად იცავდეს
 სამშობლოს მთებს და ტრამალებს.
 ფაშისტი ავაზაკები
 უკან გარბოდნენ დევნილნი,
 საბჭოთა ჯარისკაცები
 ბრძოლით შევიდნენ ბერლინში.



* * *

ომი ვათავდა. გმირები
 სთმობენ ძმადნათეც იარაღს,
 შინ ბრუნდებიან, რომ შრომით
 უწამლონ ქვეყნის იარაღს.
 დრო დადგა, რათა სამშობლოს
 შრომით შემატონ დიდება,
 სოფელში დარჩა გიორგი,
 დღეს ომის აღარ სჭირდება.
 ცეცხლში ნაწრთობი ვაჟკაცი
 არტელში შრომას ეჩვევა,
 დღეს ომი აღარ სჭირდება.
 აღარც კოჭლობა ემჩნევა.
 და თუ დასჭირდა, სამშობლოს
 კვლავაც გმირულად დაიცავს,
 ვაშა ჩვენს დიად ქვეყანას
 და მის ღირსეულ ჯარისკაცს!

★ ★ ★



ნებისყოფის ძალა



ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ ისეთი ადამიანების გმირობას, როგორც ალექსი მარესევი, რომელმაც ბრძოლებში დაკარგა ორივე ფეხი, მაგრამ მძიმე განცდები დასძლია და კვლავ სამშობლოსათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ჩაღვა. ჩვენ თავს ვხრით ოლეგ კოშევილისა და „ახალგაზრდა გვარდიის“ კომკავშირლების მამაცობის წინაშე, კომკავშირლებისა, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გვირულად ებრძოდნენ ტტრებს.

ჩვენ აღტაცებული ვართ ალექსი სტახანოვის შრომითი მამაცობით, რომელმაც თავისი მაგალითით საფუძველი ჩაუყარა ჩინებულ სტახანოვურ შოკრაობას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ბავშვებო, რომელ თქვენგანს არა აქვს სურვილი იყოს ამ ადამიანების მსგავსი?

ბევრი მოსწავლე, ჭაბუკი და ქალიშვილი, ოცნებობს გახდეს ისეთივე უღრეკი, მამაცი ადამიანი, როგორც იყვხენ ვალერი ჩკალოვი და ზოია კოსმოდემიანსკაია; ისეთივე ძგზხებარე და შეუპოვარი შრომაში, როგორც იყვნენ აკადემიკოსი ივანე პეტრესძე პავლოვი და მწერალი ალექსი მაქსიმესძე გორკი.

ესენი იყვნენ რკინისებური, შეუღრეკელი ნებისყოფის ადამიანები.

მტკიცე ნებისყოფა აუცილებელია ყოველი ადამიანისათვის არა მარტო საგმირო საქმეების ჩასადენად, არამედ ყოველდღიური ცხოვრებისთვის, მუშაობისთვის, სწავლისათვის.

რა არის ნებისყოფა?

ადამიანის ყველა მოქმედება როდია ნებისმიერი. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ბავშვს მოწყურდა. იგი მივიდა მაგიდასთან, დაასხა ჭიქაში წყალი და დალია. ასეთი მოქმედების შესასრულებლად საჭირო არაა ნებისყოფა.

მაგრამ, აი მეორე მაგალითი: ბავშვს ამხანაგები ბურთის სათამაშოდ ეძახიან, მან კი იცის, რომ ხვალ რუსულში საკონტროლო წერაა, რომლისთვისაც საჭიროა წინასწარი მომზადება. ბავშვში ორი სურვილი ებრძვის ერთმანეთს: ერთი მხრივ ბავშვს ბურთის თამაში იტაცებს, მეორე მხრივ იგი აუცილებლად სთვლის შესარულოს თავისი მოვალეობა, მოემზადოს წერისათვის.

მოვალეობის გრძნობა იმარჯვებს. ბავშვი გადაწყვეტს დარჩეს შინ და იმეცადინოს. ეს გადაწყვეტილება მან სისრულეში მოიყვანა. ასეთი მოქმედება ნებისმიერია. ნებისყოფა არის გადაწყვეტილების შეგნებულად მიღება და მისი შესრულება, რაც ადამიანისგან მოითხოვს სიმძლეოთა გადალახვას.

ადამიანის ნებისყოფა სხვადასხვა თვისებაში გამოვლინდება: ორი მოსწავლე იყვანდა რთულ არითმეტიკულ ამოცანას, მაგრამ სწორ პასუხს ვერ ღებულობდნენ. მაშინ ერთმა მოსწავლემ დახმარებისთვის მიმართა მამას, ხოლო მეორე დაჟინებით განაგრძობდა დამოუკიდებლად მუშაობას ამოცანის სწორ გადაწყვეტამდე. პირველმა მოსწავლემ ვერ გამოიჩინა ნებისყოფა, მეორემ კი პირიქით.

დამოუკიდებლობა, დისციპლინიანობა, თავდაჭერა, მამაცობა, გამბედაობა, სიმტკიცე — ნებისმიერი თვისებებია.

„გინახავთ მეთევზეები ქარიშხლის წინ ენისეის მსგავს დიდ მდინარეზე? — ამბობდა ამხანაგი სტალინი ერთ-ერთ თავის გამოსვლაში. — მე ისინი არა ერთხელ მინახავს. მოხდება ხოლმე, რომ მეთევზეთა ერთი წყება ქარიშხლის პირისპირ მობილიზაციას უკეთებს თავის ძალებს, და ნავი თამამად მიყავს ქარიშხლის შესახვედრად: „აბა ბიჭებო ყოჩაღად იყავით, საჭეს მაგრად მოკიდეთ ხელი, გააპეთ ტალღები, ჩვენ დავძლევთ!“

მაგრამ გვხვდება მეთევზეთა სხვა კატეგორიაც, რომლებიც ქარიშხლის მოლოდინში სულთ ეცემიან, იწყებენ წუწუნს „აი



უბედურება, ქარიშხალი იწყება, დაწვეით ბიჭებო, ნავის ფსკერზე, თვალები დახუჭეთ, იქნებ როგორმე ნაპირზე გავგიტანოს“. ყველასთვის ცხადია, რომ პირველი მეთევზეები მტკიცე ნებისყოფისა არიან, მეორენი კი, პირიქით — სულმოკლე, უნებისყოფო, სუსტი ადამიანები“.

მამაცობა, თავდაპირა, გამბედაობა გამოვლინდება არა მარტო სამიშროებასთან ბრძოლაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველ ადამიანს აქვს მრავალი შემთხვევა, როდესაც მან უნდა გამოავლინოს მამაცობა: არ დააჩაგვრინოს სუსტი ამხანაგი, გამოიჩინოს სიღინჯე გამოცდებზე ან სხვა საპასუხისმგებლო მომენტში.

ავილოთ ასეთი მარტივი მაგალითი: ბავშვმა უცაბედად გატეხა ფანჯრის მინა. მასწავლებლის შეკითხვაზე: — ვინ ჩაიდინა ეს? — მას არ ყოფნის გამბედაობა გამოტყდეს და ცრუობს.

სიცრუე სიმხდალისა და უნებისყოფობის ნიშანია.

პირიქით, გაბედული, ნებისმიერი ადამიანი, თუ მან ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც უნდა დაისაჯოს, არასოდეს იცრუებს, არ შეეცდება თავი დაიძვრინოს.

ნებისყოფა სიძნელეთა გადალახვაში გამოუმჯავდება; სიძნელეთა გადალახვა კი ადამიანს შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც იცის რისთვის აკეთებს ამას. თუ იცი მიზანი, რისთვისაც ცდილობ სიძნელეთა გადალახვას, ყოველთვის შესძლებ საკუთარ თავში აღმოაჩინო ძალა ამ სიძნელეთა დაძლევისათვის.

სიძნელეებთან ბრძოლაში ადამიანს ეზრდება მისწრაფება მიაღწიოს თავის მიზანს. როდესაც აკადემიკოს პავლოვს ჰკითხეს: „რა არის მთავარი პირობა მიზნის მისაღწევად?“ მან მიუგო: „წინააღმდეგობათა არსებობა“. დიდ სწავლულს წინააღმდეგობები მხოლოდ ბრძოლის სურვილს უღვიძებდა, ძალას უმტკიცებდა.

ნებისყოფის გამოუმჯავებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიზარმაცესთან ბრძოლას. შენ გეზარება დილით ადრე ადგომა, გინდა თბილ საწოლში ინებებო. შენ კი

ძალა დაატანე თავს, ადექი და სწრაფად ჩაიცივი.

გეზარება მოსაწყენ სამუშაოზე ხელი მოსჭიდო. შენ კი დასძლიე უხალისობა, ხელი მოკიდე საქმეს და ძლიერ კმაყოფილი დარჩები, რომ შენი თავი აიძულე და საქმე გააკეთე.

დაბნეული, უყურადღებო მოსწავლეები ყოველთვის სუსტი და უნებისყოფონი არიან, ხოლო ყურადღებიანი, ბეჯითი მოსწავლეები მტკიცე ნებისყოფით გამოირჩევიან. ასეთი იყო მოსწავლე ვალოდია ულიანოვი. აი რას გვიამბობს ამაზე ანა ილიას ასული ულიანოვა თავის მოგონებებში:

„კიდევ მახსოვს, მისი მასწავლებლები ამბობდნენ, რომ ვალოდიას დიდად ეხმარება ის, რომ კლასში გაკვეთილების ახსნას ყოველთვის ყურადღებით უსმენსო. თავისი შესანიშნავი ნიჭის მეშვეობით იგი ჩვეულებრივად კლასში იმასწავრებდა ახალ გაკვეთილს და შინ ოღნავი განმეორება სჭირდებოდა“.

ნებისყოფის გამომუმჯავებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ფიზიკურ გამოწორობას.

ნებისყოფის გამომუმჯავებისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივის გავლენას. ამიტომ, თუ შენ გიჭირს რაიმე უარყოფითი თვისებების დაძლევა, ეცადე ამხანაგების წინაშე დასდო პირობა, და მაშინვე იგრძნობ, როგორ გაიზარდა შენი ძალები.

ცხოვრების ყოველი წვრილმანი, თუ მას მთელი მონღომებით და პასუხისმგებლობით გააკეთებ, განამტკიცებს შენს ნებისყოფას. ამიტომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ წვრილმანებს, რომლებიც ჩვენი თავისადმი ძალდატანებას გვაჩვენენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეშვათ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. ყოველგვარი, თუნდაც სულ მცირე, დათმობა გავლენას იქონიებს ნებისყოფის გამომუმჯავებისათვის ჩატარებულ მუშაობაზე.

უ. გონოპოლინი

(„დრუჟინი რეზიბატა“ № 2, 1951 წ.)



სათაფლია

ქუთაისი. არქიელის გორა. ცაცხვების უბანი... აქედან გზა ჩრდილო-დასავლეთით მიემართება. გზა დასაწყისში საკმაოდ ფართოა, მაგრამ თანდათან ვიწროვდება და ბოლოს საცალფეხო ბილიკად იქცევა.

ამ ბილიკმა მიგვიყვანა სათაფლიას მთაზე. მიმზიდველია ეს მთა თავისი სილამაზით, მაგრამ სათაფლია ყველაზე უფრო საყურადღებოა ბუნებრივი იეგლით — დიდი გვირაბით. აქვე არის აღმოჩენილი უძველესი ცხოველების — დინოზავრების — ნაკვალევი.

წინათ სათაფლია და მის ახლომახლო მდებარე გორები ტყეებით ყოფილა შემოსილი. ტყეებში, ხეების ფულტროებში, დიდძალი ფუტკარი ბუდობდა. ამიტომაც ამ მიდამოს ხალხმა სათაფლია დაარქვა.

დროთა ვითარებაში ტყე გაკაფეს და იგი თანდათან გაჩანაგდა, ბოლოს სრულიად მოსპო.

25-26 წლის წინათ სათაფლიას გვირაბის აღმომჩენმა, ქუთაისელმა პედაგოგმა პეტრე ჭაბუკიანმა, მიზნად დაისახა სათაფლიას მთაზე ტყის გაშენება. ადგილობრივმა ხელი-სუფლებამ ჭაბუკიანის ინიციატივას მხურვალედ დაუჭირა მხარი და ყოველგვარი პირობები შეუქმნა ამ საქმის განხორციელებისათვის.

დაულალავი შრომის შედეგად სათაფლიას მთის ფერდობებზე მალე მეტად მრავალფეროვანი ნორჩი ტყე აიჭოჩრა. ტყე 300 ჰექტარზეა გაშლილი და საქართველოს ნაკრძალთა შორის საუკეთესო პერსპექტივა გააჩნია.

ტყის შუაგულში ვართ. ფრინველების გალობა ატკობს სმენას. გაღმა ფერდობზე უზარმაზარ ცაცხვებს ტოტები განიერად გაუშლიათ. მათ სურნელოვან ყვავილებს ფუტკარი შესევია.

— ეტყობა, სათაფლია არ იშლის თავის ძველ ჩვეულებას, — ვეუბნებით ჭაბუკიანს.

— ფუტკარი ახლა აქ ძალიან ბევრია, — გვიპასუხა ჭაბუკიანმა, — იგი მუდმივად აქ ცხოვრობს, მაგრამ ნებას არავის ვაძლევთ ხელი ახლოს. იყოს და იმრავლოს, ფუტკარი ტყის მშვენიერებაა.

ბუნებრივ ხეივანში გამოვედით.

ეს ხეივანი პირდაპირ ნაკრძალის ადმინისტრაციის შენობებისაკენ მიდის. ჩვენც გავყევით მას. შენობის წინ საბარგო ავტო-



უძველესი ცხოველი — დინოზავრი.

მანქანა დაგვხვდა. კვირა დღე იყო და პიონერები წყალტუბოს გზის განშტოებიდან ამოსულიყვნენ აქ საექსკურსიოდ.

ბავშვებს ყველაფერი აინტერესებდათ. მათ წინ გაშლილი იყო მშვენიერი პეიზაჟი.


ცოტა ხნის შემდეგ, პიონერებთან ერთად, ჩვენ სათაფლიას ბუნებრივი დიდი გვირაბის კარს მივადექით. გვირაბში შესვლისთანავე ადამიანის თვალს იტაცებს ბრჭყვიალა, ქვის გაკრისტალებული ლოლუები, თითქოს მოქანდაკეთა მადლიან ხელებს გამოუძერწავთ ეს ულამაზესი სხეულები და აქ საგულდაგულო ჩაუმწყრიბიათ, რომ მომსვლელები გააოჩონო.

გვირაბში მოგზაურობა არ არის სახიფათო, რადგან ბილიკი, რომელზედაც თავისუფლად შეიძლება სიარული, გვირაბს ბოლომდე გასდევს. გზის მარცხნივ გვირაბის მთელ სიგრძეზე მიჩხრიალებს მოზრდილი ღელე.

ჩვენ კარგად დავათვალიერეთ სილამაზის ეს იშვიათი ძეგლი — სათაფლიას გვირაბი. ამის შემდეგ პიონერებმა თხოვნით მიმართეს ჭაბუკიანს — ეჩვენებინა მათთვის უძველესი ცხოველების — დინოზავრების ნაკვალევი.

პეტრემ სიამოვნებით დააკმაყოფილა პიონერების სურვილი. გვირაბიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე, გავყევით ტყით დაფარულ გზას. აგერ ჩვენ თვალწინ გამოჩნდა გაშიშვლებული ფერდობი.

— დინოზავრები, რომელთა ნაკვალევს ახლა თქვენ უშუალოდ, — განაგრძობს პ. ჭაბუკიანი, — როგორც მეცნიერებმა გამოარკვეეს, ცხოვრობდნენ 120 მილიონი წლის წინათ. სათაფლია მაშინ ზღვის ნაპირს წარმოადგენდა, მაგრამ ზღვა უკუეჭა და სანაპირო გაშიშვლდა. ამ დროს სანაპიროს თიხანარევი სილაზე გაიარეს დინოზავრებმა, ისინი ზღვის პირას საზრდოს დაეძებდნენ. თიხანარევი სილა, რომელზედაც დინოზავრების ნაკვალევი



დინოზავრის ნაკვალევი.

დარჩა, შემდგომ ახლად მიტანილმა სილამ დაფარა. ეს სილა მილიონი წლების განმავლობაში გაქვევდა მის ქვეშ მოქცეულ თიხანარევი სილასთან ერთად, ასე აღიბეჭდა სამუდამოდ გაქვევებულ სილაზე დინოზავრების ნაკვალევი. დღემდე აღმოჩენილია 180 ნაკვალევი. შესაძლებელია კიდევ აღმოჩნდეს ნაკვალევი, რადგან გათხრა მკვლევრებს ჯერ კიდევ არ დაუშთავრებიათ.

როგორც ხედავთ, დინოზავრების ნაკვალევი კარგად შენახულა. ასეთი შემთხვევა, სათაფლიას გარდა, მსოფლიოში ჯერ არ არის ცნობილი.

ერთ-ერთი პიონერი ჭაბუკიანს შეეკითხა: — გამორკვეული თუ არის დინოზავრების სიდიდე და წონა?

— გამორკვეულია, — უპასუხა ჭაბუკიანმა, — იგი სიმაღლით 5 მეტრს, სიგრძით 10 მეტრს და წონით 10 ტონამდე აღწევდა.

ბავშვები დიდი ინტერესით უსმენდნენ ჭაბუკიანს და თან ვაკვირებულნი აკვირდებოდნენ დინოზავრების ნაკვალევს.

კლადიმერ ჰეარსხავე



თეთრი ლამები

წარმოებულია

ლენინგრადში და მის ჩრდილოეთით „წარმოებულია“ თეთრი ლამები“ იცის. მზის ჩასვლის შემდეგ ბინდი არ იცვლება სიბნელით, როგორც ეს ხდება საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში. ლენინგრადსა და მის ჩრდილოეთით საღამოს ღია ბინდი გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში, გათენებამდე.


რით აიხსნება ეს მოვლენა?

პიონერ-მოსწავლეებმა იციან, თუ რა იწვევს დღესა და ღამეს. დედამიწის სფერო, რომელიც თავისი ღერძის ირგვლივ ტრიალებს, მზეს ხან ერთი მხრით შესცქერის, ხან — მეორეთი. დედამიწის იმ ნაწილზე, სადაც მზე ანათებს, არის დღე, საწინააღმდეგო მხარეს კი არის ღამე. მზე რომ ჩადის, ბინდდება. მზე ჯერ კიდევ ანათებს დასავლეთით ცას, რაც იწვევს ბინდს.

დღე და ღამის ხანგრძლივობა დედამიწის სხვადასხვა ადგილას, წელიწადის დროის მიხედვით, არ არის ერთნაირი — ჩვენში ზაფხულში დღეები გრძელია, ღამეები კი მოკლე, რაც უფრო ჩრდილოეთით არის მხარე, მით უფრო მეტია დღის ხანგრძლივობა ზაფხულში. მურმანსკში ამ დროს დღეები გრძელდება ორ თვეს, ჩრდილოეთ პოლუსზე კი ნახევარ წელიწადს (21 მარტიდან 24 სექტემბრამდე). იქ ამ ხნის განმავლობაში მზე არ ჩადის. საღამოს მზე დევშვება რა ჰორიზონტზე, უმაღლეს იწვევს ზევით. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ჩრდილოეთი პოლუსი ზაფხულში მზისაკენ არის მიმართული.

პოლუსის ახლო მდებარე ადგილებში მზე ჰორიზონტის იქით ძალიან ცოტა ხნით იმალება. მოკლე ღამის განმავლობაში მზე ჰორიზონტის ახლო მდებარეობს. ამისათვის მთელი ღამის განმავლობაში ღია ბინდი არის მოცული არემარე, გათენებისას ის შეუმჩნევლად გადადის დღის ნათელში. ასე, რომ ღამის სიბნელე არახოდეს არ დგება. აი ამას ჰქვია „თეთრი ღამეები“.

ზაფხულში თეთრი ღამეები შესამჩნევია 58 გრადუსის განედზე, რაც უფრო ჩრდილოეთით არის მხარე, მით უფრო ნათელია ღამე. ეს მოვლენა ლენინგრადში შესამჩნევია მაისის შუა რიცხვებიდან და გრძელდება ივლისის ბოლომდე, არხანგელსკში — მაისის შუა რიცხვებიდან — აგვისტომდე. საბჭოთა კავშირის შუა და სამხრეთ განედებზე თეთრი ღამეები არ იცის, იქ მზე ძალიან მაღლა აღის ჰორიზონტიდან, საღამოს კი ღრმად ეშვება ჰორიზონტის იქით. საღამოსა და დღის ბინდი მოკლეა. მათ შორის კი ყოველთვის არის ღამის სიბნელე.



ციური ქვები

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ მუზეუმში კვარცხლბეკზე დევს ქვის მსგავსი შუაზე გახეთქილი გორი. ერთი შეხედვით მასში არაფერი განსაკუთრებული არ არის. იგი დაფარულია უანგაიანი ნაქდევებით. მხოლოდ, თავის მოცულობასთან შედარებით, ძალიან მძიმეა. ეს გორი არც ისე დიდია, და დაახლოებით, 42 ფუტს იწონის.

კვარცხლბეკზე გაკრულია პატარა დაფა წარწერით: „პალასის რკინა“.

რატომ ასე მზრუნველობით ინახავენ ამ გორის და რატომ აქვს ასეთი სახელწოდება?

აი რატომ: ეს რკინის გორი განსაკუთრებული გზით მოხვდა მუზეუმში. იგი ჩამოვარდა დედამიწაზე პლანეტათა შორის მდებარე სივრციდან, მეცნიერებათა აკადემიაში კი აკადემიკოს პეტრე პალასის მეოხებით მოხვდა.

ორასი წლის წინათ აკადემიკოსი პალასი მოგზაურობდა ციმბირში. მისმა მეგზურმა თათარმა იაკუბმა მეცნიერს უთამბო, რომ მჭედელ იაკობ მედვედევს ეზოში დევს უზარმაზარი ქვა, რომელიც მედვედევმა იპოვა მდინარე ენისეის ნაპირის ახლო ერთ მალალ მთაზე. თან დასძინა: წინაპრების თქმით, ეს ქვა დიდი ხნის წინათ ციდან ჩამოვარდნილაო.

პალასმა ეს ქვა პეტერბურგში გაგზავნა. აქ მეცნიერებმა გამოიკვლიეს იგი და დაამტკიცეს: რკინა, რომლისგანაც ქვა შედგება, განსხვავდება ყველა ჩვენთვის ცნობილი მთის ჯიშისაგან და არ შეიძლება იყოს ის წარმოქმნილიყო დედამიწაზე.

ასე, პირველად მეცნიერების ისტორიაში, ნახულ და შესწავლილ იქნა მსხვილი მეტეორიტი.

პლანეტათა შორის სივრცეში საუკუნეების განმავლობაში მოგზაურობენ ოდესღაც დაშლილი ციური სხეულების; უკეთ, ოდესღაც არსებული პლანეტების ნამსხვრევები. ნაწილი ამ ნამსხვრევებისა შემოიჭრება დედამიწის ატმოსფეროში. მათგან მეტოწილი დედამიწაზე არ ვარდება. სიჩქარე, რომელსაც ვარდნის დროს ნამსხვრევები ატმოსფეროში ავითარებენ, იმდენად დიდია, რომ მათ ირგვლივ ჰაერი ვარვარდება რამდენიმე ათას გრადუსამდე. ასეთი

ტემპერატურის დროს ციური სხეულის ნამსხვრევები აირად გარდაიქმნება.

ვარსკვლავიან ღამეს თქვენ, რასაკვირველია, არა ერთხელ შეგიმჩნევიათ, უცებ როგორ გაიფლავებს ცაზე თეთრი, ნათელი ზოლი. „ვარსკვლავი ჩამოვარდა!“ — ამოიბენ ამ დროს. მაგრამ ვარსკვლავები არახლოდეს არ ცვივან. ისინი დედამიწიდან ძალიან შორს არიან და მოძრაობენ თავიანთი გზით. მაშ, რა წარმოშობს იმ თეთრ, ნათელ ზოლს, რომელიც აინთება თუ არა, უმაღლე ქრება, ეს მხოლოდ ჩვენს ზევით ატმოსფეროში შემოჭრილი ციური სხეულის ნამსხვრევი გაიფლავებს სოლმე.

ზოგჯერ ეს ნამსხვრევები იმდენად მსხვილებია, რომ ვერ ასწრებენ ჰაერში მთლიანად დაშლას. ასეთი ნამსხვრევები ვარდება დედამიწაზე.

დედამიწაზე დაცემული ციური სხეულის ნამსხვრევს მეტეორიტი ეწოდება. ,

1926 წლის 21 იანვარს ოდესის ოქის პირველი მაისის რაიონის მცხოვრებნი არაჩვეულებრივმა მოვლენამ გააცვიფრა. დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე მოისმა გუგუნე, თითქოს მძიმე თვითმფრინავები ახლოვდებოდნენ. ერთბაშად არაჩვეულებრივი ძალით იფლავა, ირგვლივ ყველაფერი განათდა, ღრუბლებით დაფარული ცა ცეცხლოვან სფეროდ იქცა. მისგან გამოხსივდა თვალისმომჭრელი ნათელი. შემდეგ გაისმა აფეთქების გამაყრუებელი ხმა. მიწა შეირყა, როგორც ქვეშეხების ძლიერი სროლის დროს. ბევრგან გაიღო კარები და ფანჯრები.

რა მოხდა?

ატმოსფეროში გაიქროლა დიდმა მეტეორიტმა.

იმ ღამეს პირველი მაისის რაიონში მოვიდა ნამდვილი ქვის წვიმა. მეორე დღეს და შემდეგ სოფელ კრიშკის კოლმეურნეები თავიანთი სახლების ახლო და მინდვრებში ნახულობდნენ ციდან ჩამოცვივნილ შავ, დამწვარ ქვებს. კოლმეურნეებმა ეს ქვები შეაგროვეს და მეცნიერებათა აკადემიაში გაგზავნეს.

რა ღირებულება აქვს მეცნიერებისათვის ამ შავ ქვებს?

მეტეორიტები ჩვენ გვეხმარებიან იმ სამყაროს შესაცნობად, რომელიც მდებარეობს დედამიწის საზღვრების მიღმა. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს შესაძლებლობა იქ ვაგამგზავროთ სამეცნიერო ექსპედიცია; ჯერ კიდევ არ არის აგებული ისეთი თვითმფრინავი, რომელსაც შეეძლოს ყველაზე ახლო მდებარე ვარსკვლავამდე ან რომელიმე პლანეტამდე მიფრენა. ჩვენ შეგვიძლია ციურ სხეულებს დავაკვირდეთ მხოლოდ ასტრონომიული ხელსაწყოებით.

აგრე კი უცებ მეცნიერის მაგიდაზე აღმოჩნდება იმ პლანეტის ნამდვილი ნატეხი, რომელსაც ოდესღაც დედამიწიდან აშორებდა რამდენიმე მილიონი კილომეტრი. დააკვირდი ამ ნატეხს, გამოიკვლიე, შეისწავლე. მეტეორიტის სახით ბუნებრივად გვეძლევა სამყაროს მეცნიერულად შეცნობისათვის შესანიშნავი მასალა.

მეტეორიტების შესწავლით მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ციური სხეულების ყველა ნაშხვრევი შედგება იმავე ქიმიური ელემენტებისაგან, რომელთაგან წარმოქმნილია დედამიწის ჯოზეხი, მაგრამ დედამიწაზე არსად არ მოიპოვება ისეთი უზარმაზარი რკინის კრისტალები — წონით ათი-თორმეტი ფუთი, როგორც ეს გვხვდება მეტეორიტებში. მათი წარმოქმნა შესაძლებელი იყო მხოლოდ სამისოდ განსაზღვრულ პირობებში. ასე, მეტეორიტების შესწავლით, მეცნიერები ეცნობიან, თუ როგორი პირობები არსებობდა დაშლილ-გაქრობილ პლანეტაზე.

ყველაზე ჩქარი რეაქტიული თვითმფრინავი საათში მიფრინავს არა უმეტეს ათასი კილომეტრისა. მეტეორიტები კი ატმოსფეროში ავითარებენ სამოცდაათ-ოთხმოც ათას კილომეტრს საათში. მეტეორიტების შესწავლით მეცნიერები ეცნობიან, როგორ გავლენას ახდენს მავარ სხეულებზე ასეთი წარმოუდგენელი სჩქარა.

მეტეორიტები უამბობენ მეცნიერებს არა მხოლოდ თავიანთ თავზე, არამედ ატმოსფეროს ზედა ფენის პირობებზედაც, რომლებშიც მათ გაქროლდნენ. არც ერთ სტრატოსფერულ ჯერ კიდევ არ მიულწევიას ასტრონომიკური სიმაღლეზე, მეტეორიტებს კი მთელი ატმოსფერო გამოვლილი აქვთ.

ჩვეულებრივად მიწამდე აღწევენ არც თუ იხე მსხვილი ნამსხვრევები. დიდი მეტეორიტი რამდენიმე ათას წელიწადში ერთი ან ორი თუ ჩამოვარდება ხოლმე. მეცნიერების ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი მეტეორიტი ჩამოვარდა 1908 წლის 30 ივნისს ენისეის ტაიგაში.

მეტეორიტი ისე ძლიერად დაეჯახა დედამიწას, რომ აფეთქების ხმა ათას კილომეტრზე გაისმა და მთელი ევროპის ყველა სეისმოლოგიურმა სადგურმა აღნიშნა მიწის რყევა. მეტეორიტის დაცემის ადგილიდან 700 ვერსის დაშორებით, ქალაქ კანსკას მახლობლად, მიწა იმდენად შეირყა, რომ შემანქანებმა გააჩერა მატარებელი, ეგონა ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა.

საბჭოთა მეცნიერმა ლ. კულიკმა გადაწყვიტა შეესწავლა ამ კატასტროფის რაიონი. იმ ადგილისა-



მეტეორიტის ჩამოვარდნა

კენ, სადაც მეტეორიტი დაეცა, გზას თვით ბუნება ანიშნებდა. ათეული კილომეტრის მანძილზე ეყარა ჰაერის ძლიერი ტალღის მიერ წაქცეული ასწლოვანი ხეები. მათი ტოტები აფეთქების დროს წარმოქმნილი ალით იყო შერუჯული.

მეცნიერების გამოანგარიშებით, ენისეის ტაიგაში ჩამოვარდნილი მეტეორიტი რამდენიმე ათას ტონას იწონიდა. მისი ნარჩენების პოვნა არ მოხერხდა, როგორც ჩანს, დედამიწასთან დაჯახების დროს მეტეორიტის აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელი მეტეორიტი გავარდარებულ აირად გარდაიქმნა.


ყველაზე მეტი მეტეორიტი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვარდება. ეს არც არის საკვირველი: ჩვენს სამშობლოს ტერიტორია მთელი ხმელეთის მეექვსედ ნაწილს შეადგენს. ციური სხეულების შესწავლის საქმეშიც საბჭოთა მეცნიერებმა ყველაზე მეტი გააკეთეს. ციდან ჩამოვარდნილი ქვების კოლექცია, რომელიც შეაგროვა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მეტეორიტების შემგროვებელმა კომიტეტმა, ითვისის მეტეორიტების ათასზე მეტ სახეს. ჩვენ გვაქვს 27 ტონაზე მეტი დაშლილი ციური სხეულების ნივთიერება.

რამდენად მეტი მეტეორიტები ექნებათ ხელთ ჩვენს მეცნიერებს, იმდენად მალე და წარმატებით შეძლებენ ისინი გამოიკვინონ სამყაროს საიდუმლოება და გაამდიდრონ ამ მხრივ ჩვენი მეცნიერება ახალი აღმოჩენებით.

დ. კლიქსევი



გ ა ს ა რ თ ო ბ ი



პერტიკალურად

1. პლანეტა; 2. საბავშვო უსრნალი; 3. ევროპის სახელმწიფო; 4. ქალაქი ესპანეთში; 5. მდინარე საქარ-

თველოში; 6. უდიდესი ასტრონომი; 7. ცნობილი ოპტიკური მოვლენა უდაბნოში; 8. საწვავი მასალა; 9. მაგარი ხის ჯიშ; 10. მნათობი; 11. ტროპიკული მცენარე; 12. გემი, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციაში მიიღო მონაწილეობა; 13. მენდელეევის პერიოდული სისტემის IV ჯგუფის ელემენტი; 14. საცხენოსნო სპორტის ერთერთი სახე; 15. მდინარე საბჭოთა კავშირში; 16. „კუდიანი ვარსკვლავი“; 17. სითბოს რაოდენობის ერთეული; 18. ლამაზრქებიანი ცხოველი.

ჰორიზონტალურად


1. სამხედრო წოდება; 5. შავი ზღვის კურორტი; 19. წელიწადის დრო; 20. ქალაქი სვანეთში; 21. უდაბნო; 22. გერმანიის პროვინცია; 23. დიდი ველი საქართველოში; 24. რადიქტიური ელემენტი; 25. ტექნიკური კულტურული მცენარე; 26. ცნობილი ილუზიონისტი; 27. ნახევარკუნძული ყვითელ ზღვაში; 28. მომწამვლელი ნივთიერება; 29. ცნობილი გერმანელი კომუნისტი; 30. წყლიან-მცენარეანი ადგილი უდაბნოში; 31. ცხენის მოსართავთაგანი; 32. ჩინეთის მთიანი მხარე (ზეგანი); 33. მეფის სახელწოდება ეგვიპტეში; 34. თბილისის ერთ-ერთი უბნის ძველი სახელწოდება.

შეადგინა **კ. ხურციძე**

ა მ ო ც ა ნ ა

მოცემულია საძოვარი, რომელსაც ნახევარი წრის ფორმა აქვს. გვაქვს თოკი, რომლის სიგრძე ორჯერ მეტია საძოვრის დიამეტრზე, სამი პალო და ერთი რგოლი, რომელშიც თავისუფლად იმოძრავენ თოკი. საჭიროა ისე გაიბას ძროხა, რომ მთლიანად შეეძლოს საძოვრის მოძოვა და ვერ გასცილდეს მას. (თოკის დაჭრა შეიძლება. თოკის სიგრძე უნდა ვიანგარიშოთ პალოდან ძროხის ტუჩამდე).

შეადგინა **ა. ფურცხვანიძე**



პ ა ს უ ხ ე ბ ი

- „პიონერის“ № 5-ში დაბეჭდილი გამოცანებისა: 1. ქარი; 2. თამბაქო; 3. თითები; 4. კარი.



ტ ე რ მ ი ტ ე ბ ი



ტერმიტები ანუ თეთრი ჭიანჭველები ტროპიკული ქვეყნების ცხოველებია. როგორც ფუტკრებს ყავთ სკაში დედა ფუტკარი, მუშა ფუტკრები, მცველები და სხვ., ასევე ტერმიტებს ყავთ „დედ-მამა“, „მუშები“ და „ჯარისკაცები“.

ჯარისკაცებს ტანთან შედარებით დიდი თავი და მაგარი ყბები აქვთ, რომლებითაც ისინი ეომებიან მტრებს. არც ზარმაც მუშა ტერმიტებს ინდობენ ისინი — მათ ზურგზე ურტყამენ თავს.

თუ ფუტკრები გელურ მდგომარეობაში ხეების ფულტროებში ცხოვრობენ, მათგან განსხვავებით, ტერმიტები თავიანთ აგებულ ბინებში ბინადრობენ. თაისი სიდიდით გასაოცარია ეს ბინები, თითოეული მათგანის სიმაღლე რამდენიმე მეტრს უდრის. ტერმიტები ბინებს ისე ახლო-ახლო აგებენ, რომ ჩრდილოეთ ავსტრალიის სანაპიროებთან მა-

თი ბინები ადგილობრივ მცხოვრებთა სოფლებს წააგავს.

რით იშენებენ ტერმიტები ბინებს? ისინი ღეჭავენ მიწას, ნერწყვიან და საჭმლისმომნელებელ ორგანოებში ატარებენ. ეს მიწა ელასტიურია და მისგან ტერმიტები ადვილად ახერხებენ ბინების აგებას. შემდეგ მიწა თანდათან აგურივით მაგრდება.

ტროპიკულ ქვეყნების მცხოვრებლებს დიდ ზარალს აყენებენ ტერმიტები. ისინი ეტანებიან მცენარეულ საკვებს, ჭამენ ფიცრებს, ავეჯს, ქალაღს, აბრეშუმის ქსოვილებს.

ტერმიტები შეუმჩნევლად შეძვრებიან ძელებში, ავეჯში და ხრავენ მათ. ინდოეთში, ქალაქ კალკუტაში, 1814 წელს მოულოდნელად დაინგრა გუბერნატორის შესანიშნავი სასახლე. გამოირკვა, რომ სასახლე ჩუმად შეეჭამათ თეთრ ჭიანჭველებს — ტერმიტებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	88.		88.
ბ. მთვარაძე — ზიფათი (მოთხრობა)	1	ზ. შერაზადიშვილი — სტუმარი (პოემა)	21
კ. ბოზოხიძე — ნანის შეგობრობა (ლექსი)	4	ფ. გონოპოლინი — ნებისყოფის ძალა (წერილი)	25
ნ. ტიხონოვი — ზორის ძნელაძე (ლექსი. თარგმანი გ. ცეცხლაძისა)	5	ვ. ქვარცხავა — სათაფლაო (ნარკვევი)	27
დ. იოვაშვილი — ზაფხული ქვიშხეთში (ნარკვევი)	6	დ. აღეჭხევი — ციური ქეები (წერილი)	29
ვ. გოგოლაშვილი — დიდი თეატრი (ლექსი)	8	გასართობი	31
რ. ელანიძე — თეთრი მთები (მოთხრობა. დასასრული)	9	მ. სანიკიძე — სიმღერა ახალ თბილისზე (ლექსი) გარეკანის მე-2	მე-2
ჯ. ნიქაბაძე — თქმულება ტირიფის ხეზე (ლექსი)	15	ჩვენეი კალენდარი	„ მე-3
„ნორჩი ლენინელი“ (წერილი)	16	გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა შესრუ- ლებულია მხატვარ გ. ფოცხიშვილის მიერ.	
ბ. პრივალოვი — ზელზერფოლკი (მოთხრობა)	17	გარეკანის მე-4 გვერდზე ფოტოეტიული — პიონერ- თა ბანაკში.	
ოქტომბრის გამოცემა (წერილი)	19		

რედაქტორი ბ. კ ა ბ ა ხ ი ძ ე. სარედაქციო კოლეგია: ე. აბლაძე, დ. ბერიტიშვილი, ვ. მარ-
დიანიშვილი, გ. თავაძე, მ. მარჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შინგელია.
პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღუა. სამხატვრო რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

შე 02893 ტირაჟი 7500 გამომცემლობის შეჯ. № 272 სტამბის შეჯ. № 824
დ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14
შურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



კვეთისუბლი
გვერდითაა

ჩვენი კატეგორია



ლენინის სახელმწიფოს

ლენინის სახელს ატარებს საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — კომკავშირი, რომლის რიგებშიც შენ მალე შეხვალ, ღირსეულო პიონერო!

ლენინის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 1924 წლის ივლისში, შედგა კომკავშირის VI ყრილობა. აქ იყვნენ წარმომადგენლები — დელეგატები გამორული კომკავშირისა, რომელიც დიდების შარავანდედით შეიმოსა სამოქალაქო ომის წლებში, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძოდა სამოქალაქო ომის შემდგომი მშვიდობიანი შრომის ფრონტზე აქ იყო ზოგი მათგანი, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება თავიანთი თვალთ ენახათ საყვარელი ლენინი და მოესმინათ მისი დაუფიქარი სიტყვა კომკავშირის III ყრილობის ტრიბუნლიდან 1920 წლის 2 ოქტომბერს.

ახლა კი VI ყრილობა კომკავშირისა შეიკრიბა იმ დროს, როცა ლენინი აღარ იყო ცოცხალი და ქვეყანას ჯერ კიდევ ემოსა მისი სიკვდილით გამოწვეული საზღვარგარეო ძაძებო.

და აი, კომკავშირის ამ ისტორიულმა VI ყრილობამ კავშირის 630 ათასი წევრის სახელით მიიღო დადგენილება მინიჭებულად კომკავშირის ლენინის სახელი.

ყრილობამ მიიღო მანიფესტი ყველა კომკავშირელისადმი, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისადმი. აი, რა ეწერა მანიფესტში: „ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად საკავშირო VI ყრილობა, დებულობს რა ლენინური კავშირის სახელს,

ფიცს დებს, რომ რა დაბრკოლებაც არ უნდა იდგეს ჩვენს გზაზე, როგორი მსხვერპლიც არ უნდა მოგვთხოვოდ, ჩვენ შევასრულებთ ყველა ამ ამოცანას, ჩვენ არ დავხრით ლენინის დროშას“.

როცა ეცნობო, სწავლობ კომკავშირის გამორულ გზას, — ამჟამად, რომ მანიფესტის ეს სიტყვები, უკვდავი ლენინის ხსოვნისადმი მიცემული ეს ფცი ბრწყინვალედ სრულდება. კომკავშირი 10 მილიონამდე ახალგაზრდას აერთიანებს. იგი საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმია, ბოლშევიკური პარტიის ერთგული თანაშემწეა. მან გამორული ბრძოლისა და სახელოვანი შრომის ფრონტებზე 4 ორდენი დაიმსახურა.

დღე, როცა კომკავშირის ლენინის სახელი მიენიჭა, ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია მისი სახელოვანი ისტორიის დიდი წიგნისა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი

მრავალი ათასი კილომეტრის სიგრძისაა ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვაო საზღვრები. ამ საზღვრებს პირველ რიგში იცავს სახელოვანი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი.



გამორული, სახელოვანი გზა აქვს განვლილი მას. მისი მამაცი მეზღვაურების გამორული ტრადიციის ფესვები გაღმეულია შორეულ წარსულში. დიდი ხნის წინათ, 1805 წლის ივნისში, მუშათა დიადი მოძრაობის მძლავრ დინებას შეუერთდა შავი ზღვის ფლოტში, ოდესის ახლოს მდგარი

მეფის ჯავშნოსანი „პოტიომკინის“ იგი მისი აჯანყებული ეკიპაჟის გადავიდა რევოლუციის მხარეზე. ჯავშნოსანის მეზღვაურებმა და მუშებმა მხარი დაუჭირეს 1905 წლის რევოლუციას. ეს სახელოვანი რევოლუციური ტრადიცია განაგრძო და 12 წლის შემდეგ ვანი-მეორა კრიესტრმა „ავრორაში“, რომლის ისტორიულმა გასროლამ აუწყა ქვეყანას ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის უარა.

დიდა ახალგაზრდობის, კომკავშირის წვლილი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების საქმეში. ჯერ კიდევ 1922 წელს კომკავშირმა ფლოტში სამუშაოდ გაგზავნა თავისი ორი ათასი საუკეთესო წევრი და იმავე წლის ოქტომბერში შეფობა აიღო ფლოტზე. ამის შემდეგ არა ერთხელ გაუყუთა კომკავშირმა მოზილიზაცია თავის ძალებს და მრავალი ათასი კომკავშირელი გაგზავნა ფლოტში სამუშაოდ და სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში სასწავლებლად. ნამდვილი გამორობისა და პატრიოტიზმის მაგალითები გვიჩვენა კომკავშირმა დიდი სამამულო ომის დროს. სამხედრო-საზღვაო ფლოტი დიდი სტალინის უშუალო მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით წლითიწლობით იზრდება და სულ უფრო და უფრო უძლიველი ხდება. ჩვენი სახელოვანი მეზღვაურები ახალ-ახალ შევსებას იღებენ აგრეთვე ნახშირეუროს სასწავლებლებიდან.

გამორობისა და მამაცობის უკვდავი მაგალითები გვიჩვენებს ჩვენსა მეზღვაურებმა დიდი სამამულო ომის წლებში. მტერთან ბრძოლებში გამორობისა და მამაცობის გამოჩენისათვის 513 საბჭოთა სამხედრო მეზღვაურს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გამორის წოდება. მათგან 300 მეზღვაური კომკავშირის აღზრდილია.

იზრდება, კიდევ უფრო სრულყოფილი და ძლიერად მოსილი ხდება სახელოვანი სტალინური სამხედრო-საზღვაო ფლოტი. საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად 20 ივლისს აღნიშნავს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.



Господынянах 10-12.

6.3/128

3.15 / 158

